

**თავდაცვის სტრატეგიები
რთულ გარემოში**

**სახელმძღვანელო უმცირესობათა
საკითხებზე მომუშავე განმანათლებლების,
დამხმარე პროფესიონალებისა და
პრაქტიკოსებისათვის**

თბილისი, 2017

SELF-DEFENSE STRATEGIES IN HOSTILE ENVIRONMENTS

**TEXTBOOK FOR EDUCATORS, HELPING PROFESSIONALS AND
PRACTITIONERS WORKING ON MINORITY ISSUES IN GEORGIA**

Tbilisi, 2017

სარჩევი



პუბლიკაცია მომზადებულია კანადის ადგილობრივი ინიციატივების ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. პუბლიკაციის შინაარსი შესაძლოა არ გამოხატავდეს CFLI-ს პოზიციას.

The publication was prepared with the financial support of the Canada Fund for Local Initiatives (CFLI). Views expressed in the publication may not reflect those of the CFLI.

ტერმინთა განმარტება	3
შესავალი	7
ნაწილი I.	15
წარმატების მიღწევა მტრულ გარემოშიც არის შესაძლებელი	15
ცვლილებები ადგილობრივ განმათავისუფლებელ მოძრაობებში საქართველოში	19
გარე ზეწოლის როლი საქართველოში უმცირესობათა მდგომარეობაზე	22
ნაწილი II. კვლევის შედეგები: უმცირესობათა პრობლემები საქართველოს რეგიონებში	24
ნაწილი III. რეკომენდაციები მშვიდობიანი თანაცხოვრების უზრუნველყოფისათვის	32
ნაწილი IV. უმცირესობებთან მუშაობის მეთოდები და სავარჯიშოები	42
სავარჯიშო № 1: რაოდენობრივი კვლევა უმცირესობათა თემებში	43
სავარჯიშო № 2: თვითშეფასება	46
სავარჯიშო № 3: ღირებულებები და დამოკიდებულებები	46
სავარჯიშო № 4: როლური თამაშები	47
სავარჯიშო № 5: გამკლავება სტერეოტიპებთან	48
სავარჯიშო №6: სოციალური ცვლილებების ადვოკატირება და წინააღმდეგობები	49
სავარჯიშო № 7: განათლების სფეროში უმცირესობათა შესახებ მუშაობის დაწყება	51
სავარჯიშო № 8: ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკის მიწოდების ფორმები განათლების სფეროში	53
სავარჯიშო № 9: ადვოკატირება რეგიონულ და ეროვნულ დონეზე	54
სავარჯიშო № 10: მრავალფეროვნების მხარდაჭერი სამუშაო გარემოს შექმნა	54
SELF-DEFENSE STRATEGIES IN HOSTILE ENVIRONMENTS	56



გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

ეთნოცენტრიზმი

ეთნოცენტრიზმი არის სხვა კულტურების შეფასება იმ წინასწარ ჩამოყალიბებული მოსაზრებების მიხედვით, რომლებიც ჩვენ საკუთარ სტანდარტებსა და ჩვეულებებზე დაფუძნებული. ამ ჩვეულებების მიხედვით, ჩვენი ეთნიკური ჯგუფი და კულტურა თითქოს ბუნებრივად აღემატება სხვა ეთნიკურ ჯგუფსა და მის კულტურას. ეთნოცენტრიზმი უცხო ჯგუფებსა და კულტურებს საკუთარი პერსპექტივიდან ხედავს და არ იძლევა საშუალებას, ადამიანმა/სოციალურმა ჯგუფმა იმ ადამიანების/სოციალური ჯგუფის თვალთ დაინახოს სამყარო, რომლის მიმართ უპირატესობის გრძნობასაც განიცდის.

ეიჯიზმი

ეიჯიზმი (ინგლისური სიტყვიდან age - ასაკი) არის ასაკობრივი ნიშნით ადამიანის მიმართ განსხვავებული, დამამცირებელი ან უპირატესი მოპყრობა ან ამგვარი მოპყრობის გამართლება მხოლოდ და მხოლოდ ადამიანის ასაკობრივი ჯგუფისადმი კუთვნილების გამო.

ჰეტეროცენტრიზმი/ჰეტერონორმატიულობა

ტერმინი ჰეტერონორმატიულობა პირველად 1991 წელს ამერიკელმა სოციოლოგმა მაიკლ ვორნერმა გამოიყენა. ჰეტერონორმატიულობა სოციალურ ინსტიტუტებსა და ურთიერთობებში სექსუალობის შესახებ გარკვეული რწმენების, შეხედულებების გამყარებას მოიაზრებს. ამ შეხედულებების მიხედვით, სექსი მხოლოდ “პენისი ვაგინაში” აქტია, ოჯახი - მხოლოდ ჰეტეროსექსუალი წყვილისგან და მათი ბავშვებისგან შედგება, ხოლო ქორწინების მიზანი - მხოლოდ გამრავლებაა, ამიტომაც, ჰეტეროცენტრიზმის მიხედვით, ქორწინება მხოლოდ ჰეტერო წყვილებს შორისაა დასაშვები. აქედან გამომდინარე, ჰეტეროსექსუალობა სექსუალობის ერთადერთ, “ბუნებრივ” ფორმად არის მიჩნეული. ჰეტერონორმატიულობა პრაქტიკებისა და ინსტიტუტების იმგვარი ერთობაა, რომელიც ნორმატიული ჰეტეროსექსუალობის ლეგიტიმაციას ახდენს, აყენებს მას პრივილეგირებულ მდგომარეობაში, ხოლო მისი “განსხვავება” ჰეტეროსექსუალური ურთიერთობების საშუალებით ხდება. ჰეტერონორმატიულობის სოციალურად წარმოების ერთ-ერთი უმთავრესი გზა ჰეტეროსექსუალობის ინსტიტუციონალიზაციაზე გადის.

ამერიკელმა ლესბოსელმა ფემინისტმა ადრიან რიჩმა ჯერ კიდევ 1980 წელს ახსნა, რომ ჰეტეროსექსუალობა ინსტიტუტია, რომელიც მხოლოდ მამაკაცთა ინტერესებს ემსახურება და სრულიად არაბუნებრივია ქალთა უმრავლესობისთვის. იგი ამტკიცებდა, რომ ქალებს მოტყუებით თავს ახვევენ

ჰეტეროსექსუალობას რომანტიკის, მამაკაცის სხეულის ეროტიზაციის, გაუპატიურებისა და ლესბოსური ურთიერთობების ცენზურისგან. შესაბამისად, ჰეტეროსექსუალობა აუცილებლობად განიხილება, ისე, რომ ქალის სოციალური, ემოციური და სექსუალური საჭიროებები დაქვემდებარებულია. ეს უზრუნველყოფს ქალის სხეულზე კაცის პრივილეგირებულ სექსუალურ და ემოციურ ხელმისაწვდომობას. მიუხედავად იმისა, რომ ლგბტ ადამიანები დღეს უფრო მეტად ხილვადნი არიან, ვიდრე მაშინ, როდესაც რიჩმა ეს შეფასება დაწერა, ჰეტეროსექსუალობის წახალისება-დაჯილდოება ახლაც მსგავსი ფორმით მიმდინარეობს. ეს კი სექსუალობების სხვა ფორმების მარგინალიზებას განაპირობებს

რასიზმი

რასიზმი არის ცრურწმენა, დისკრიმინაცია, ან ანტაგონიზმი, რომელიც მიემართება განსხვავებული რასის ინდივიდუალურ წარმომადგენელს ან მთლიანად ჯგუფს, იმ რწმენაზე დაყრდნობით, რომ რასისტული დამოკიდებულების მატარებელი ინდივიდის რასა რაიმე ნიშნით აღემატება დისკრიმინირებული რასის წარმომადგენლის რასას.

სექსიზმი

სექსიზმი არის სქესისადმი კუთვნილების გამო ადამიანის, როგორც წესი ქალების, ათვალისწინება, ჩაგვრა და დამცირება. სექსიზმი განაპირობებს იმგვარ ქცევას, პირობებს, ან დამოკიდებულებებს, რომლებიც სქესზე დაფუძნებული სტერეოტიპული როლების გამტკიცებას უწყობს ხელს, რომლის შედეგად ქალების სოციალური მდგომარეობა კიდევ უფრო მძიმდება.

ეიბლიზმი

ეიბლიზმი (ინგლისური სიტყვიდან able - შეძლე) არის ადამიანისთვის უპირატესობის მინიჭება ან მისი დისკრიმინაცია ფიზიკური შესაძლებლობებისა და ფიზიკური უნარების ფლობის მიხედვით. უფრო ფართოდ, ეიბლიზმი არის იდეოლოგია, რომელიც ფიზიკური შესაძლებლობის არ ქონის გამო ადამიანთა დაჩაგვრას ამართლებს. ეიბლიზმი ადამიანებს აფასებს არა იმის მიხედვით, თუ რა შეუძლიათ, არამედ იმით, თუ რა არ შეუძლიათ. ამის მიხედვით, ეიბლიზმი ააგებს ადამიანის პორტრეტს სადაც ადამიანის გარეგნულად აღქმული უნარები, შესაძლებლობები და მახასიათებლები ადამიანის შესახებ შთაბეჭდილების აგებაში გადამწყვეტ როლს ასრულებს. ამის მსგავსად, **მენტალიზმი** მენტალური შესაძლებლობების გამო იგივე სახით ადამიანის დისკრიმინაციას ეწოდება.

უმცირესობა

საზოგადოებაში ორი/ორზე მეტი ჯგუფიდან უმცირესი, რომელიც მთლიანად

შესავალი

საზოგადოებას ექმნის. უფრო კონკრეტულად, ჯგუფი, რომელიც მოსახლეობის 50% -ზე ნაკლებ საარჩევნო ხმას ფლობს. უმცირესობა მოსახლეობის ის ნაწილია, რომელიც დანარჩენებისაგან ერთი ან რამდენიმე მახასიათებლით (რწმენა, ეთნოსი, ორიენტაცია და ა. შ.) გამოირჩევა და ამ მახასიათებლების გამო, დამამცირებელ/განსხვავებულ მოპყრობას არის დაქვემდებარებული.

ნარატივი

მონათხრობი, წერილობითი ან ზეპირი აღწერა განვლილი მოვლენებისა. ნარატივი შეიძლება იყოს ლიტერატურული ნაწარმოები, აგრეთვე ისტორიების მოთხრობის პრაქტიკა. ნარატივი არის რაიმე კონკრეტული მდგომარეობის ან პროცესის იმგვარი წარმოჩენა, რომელიც რაიმე ზოგადი სახის ღირებულებებს ან მიზნებს ადასტურებს. ნარატივი ურთიერთკავშირში მყოფი ისტორიული ან წარმოდგენილი მოვლენების გაერთიანებული მონათხრობია, რომელიც შეიძლება თემატურად ან ფორმალურ კატეგორიებად დაიყოს. ზეპირი ისტორიები, რომლებსაც ეს სახელმძღვანელო მნიშვნელოვანწილად ეყრდნობა, ნარატივების გაზიარების უძველესი ფორმაა.

მრავალი ადამიანის ბავშვობაში, ნარატივები გამოიყენება მათი ქცევის სამართავად, სათემო იდენტობის, კულტურული ისტორიის, ღირებულებების ჩამოსაყალიბებლად. ერთი ნარატივი შეიძლება მეორე, უფრო ფართო ნარატივის ნაწილი იყოს როგორც ჟანრის, ისე შინაარსის მხრივ. გამოხატვასთან, მსჯელობასთან, აღწერასთან ერთად, თხრობა მეტყველების (დისკურსის) ოთხი შემადგენელი ნაწილიდან ერთ-ერთია.

კულტურულ თხრობაში, ნარატივს ისტორიის ფორმა ეძლევა, რომელიც მსმენელებს თანამშრომლობით გარემოს სთავაზობს ცოდნის შესაძენად. ამგვარ თხრობის მანერას, რომლითაც პროექტის მონაწილეები კავდებოდნენ, კვლევის პროცესში ვიყენებდით როგორც ისტორიებისა და ღირებულებების შეგროვების მეთოდს. ეს ისტორიები იმ კულტურული ქვე-თემების შესახებ ცოცხალი წარმოდგენებისა და დისკრიმინაციის გაზიარებული გამოცდილებების წყაროა, რომლებიც პროექტის აქტივობებში მონაწილეობდნენ. ნარატივი მოვლენებს საკუთარ მნიშვნელობასა და ახსნას ანიჭებს, რომელიც მომდევნო ნარატივისგან შესაძლოა მნიშვნელოვანწილად განსხვავდებოდეს.

ნარატიული თხრობა გამთლიანებულ აზროვნებას აყალიბებს და მთხრობელ ინდივიდს შესაძლებლობას აძლევს საკუთარი პიროვნება ღირებულებათა საკუთარ სამყაროსთან ერთიანობაში წარმოადგინოს, გარე მედიაციის გარეშე. ამგვარი ცოდნის სისტემა პიროვნების ერთიანობას სცემს პატივს და ისტორიების თხრობისა და გაზიარების მეშვეობით, მათი კულტურული იდენტობის, მიკუთვნებულობის და ამავე დროს, უნიკალურობისა და განსხვავებულობის წარმოჩენის შესაძლებლობაა.

2016 წლის 15 ოქტომბერს, მკვლევართა გუნდმა, რომლებიც კანადის ადგილობრივი ინიციატივების ფონდის მხარდაჭერით, გაძლიერებისა და თავდაცვის მექანიზმების სახელმძღვანელოს შექმნაზე მუშაობდა სოციალურად გარიყული ჯგუფებისათვის, პროექტის ფარგლებში სხვადასხვა სოციალური უმცირესობის წარმომადგენლებთან ფოკუს ჯგუფის 5 შეხვედრა გამართა. შეხვედრებში მონაწილეობდნენ და რელიგიური უმცირესობები, ახალგაზრდა გოგონები და ლგბტ ადამიანები, რომლებიც სასოფლო დასახლებებში ცხოვრობენ, აგრეთვე ახალგაზრდები თბილისიდან და კონფლიქტური რეგიონებიდან.

ფოკუს ჯგუფებისთვის მონაწილეები შემდეგი პრინციპით შეირჩა: სხვადასხვა სათემო, ეთნიკური, გენდერისა და რელიგიურ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებს მთელი საქართველოდან ეთხოვათ ფოკუს ჯგუფებში მონაწილეობის მისაღებად ახალგაზრდა წარმომადგენლების გამოგზავნა. შემდგომ, მკვლევარებმა 50 ახალგაზრდა ლიდერი და აქტივისტი შეარჩია, რომლებიც მთელი ქვეყნის მასშტაბით უმცირესობათა მაქსიმალურად სრულ სპექტრს წარმოადგენენ.

ფოკუს ჯგუფებში მონაწილეობა მიიღეს ბაპტისტური, პროტესტანტული, მუსლიმი, მართლმადიდებლური კონფესიების მიმდევრებმა და აზერბაიჯანელი, უკრაინელი, რუსი, ქართველი, ქურთი/იგიზიდი, სომეხი და სხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელმა ახალგაზრდებმა.

მონაწილეთა ასაკი, რომელთა შორის 25 კაცი და 25 ქალი იყო, 16-25 წელს შორის მერყეობდა. ფოკუს ჯგუფების მონაწილეები წარმოადგენდნენ ქვემო ქართლს, მაღალმთიან აჭარას, იმერეთს, გურიას, სამცხე-ჯავახეთს, შიდა ქართლსა და თბილისს.

შეხვედრები ნახევრად სტრუქტურირებულ და შედარებით არაფორმალურ გარემოში, ფოკუს ჯგუფისთვის დადგენილი მეთოდოლოგიით მიმდინარეობდა. დისკუსიის დასაწყისში, მონაწილეებს მკვლევარი, აცნობდა ძირითად განსახილველ თემატიკას - დისკრიმინაცია, ადამიანის უფლებები და თანასწორობის საკითხები - თუმცა ის რომელიმე კონკრეტულ ჯგუფზე აქცენტის გაკეთებისაგან თავს იკავებდა. სადისკუსიოდ ზოგადი ფონის მონიშვნისა და შეხვედრაში მონაწილეობის წესების განმარტების შემდეგ, მკვლევარი ახალგაზრდებს სთხოვდა რიგრიგობით ესაუბრათ საკუთარი თვალთ ნანახ ან საკუთარ გამოცდილებაზე, რომელიც განსახილველ თემებთან მიმართებით იქნებოდა მნიშვნელოვანი. მონაწილეებს შეეძლოთ ამოსაცნობი დეტალების გარეშე მოეთხროთ ისტორიები. უნდა ითქვას, რომ მონაწილეებმა საკმაოდ მარტივად დაძლიეს ბარიერები და ღიად ისაუბრეს საკუთარი და სხვათა ისტორიების შესახებ. ისინი დისკრიმინაციის იმ ფაქტებზე ყვებოდნენ, რომელიც მათ და მათმა ოჯახებმა თუ მეგობრებმა გადაიტანეს

საკუთარი რწმენის, ეთნიკური კუთვნილების თუ უმრავლესობისაგან სხვა განმასხვავებელი ნიშნის გამო.

ყველა შეხვედრას ჰარმონიულად და შეფერხების გარეშე არ ჩაუვლია. უნდა აღინიშნოს, რომ რამდენიმე მონაწილემ, განსაკუთრებით მუსლიმი თემიდან და ასევე სხვადასხვა ქრისტიანული დენომინაციის წარმომადგენლებმა, რომლებიც აქტიურად უსვამდნენ ხაზს საკუთარ მიკუთვნებულობას შესაბამისი ქრისტიანული დენომინაციის მიმართ, გამოავლინეს მძაფრად ჰომოფობიური დამოკიდებულებები. საინტერესოა, რომ ჰომოსექსუალობაზე ან ჰომოფობიაზე საუბარი მკვლევარის მიერ საერთოდ არ ყოფილა შეთავაზებული. ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც ადამიანის ღირსებასა და უფლებებს ეხებოდა საუბარი, მონაწილეების უდიდესი უმრავლესობა დამოუკიდებლად 'ახერხებდა' ლგბტ საკითხებზე გადაეტანა საუბარი.

შემთხვევათა უმრავლესობაში მონაწილეების გზავნილი ლგბტ თემის დისკრიმინაციის ილუსტრირებით, შემწყნარებლობის მნიშვნელობის ხაზგასმა იყო. თუმცა, იმ დროს როდესაც საკუთარ რელიგიურ მრწამსზე საუბრობდნენ, რამდენიმე ქრისტიანი და მუსლიმი ახალგაზრდამ თავი მოვალედ ჩათვალა ხაზი გაესვა იმ ფაქტისათვის, რომ შემწყნარებლობისა და სიყვარულის განმარტებაში „ამ ადამიანებს“ არ და ვერ მოიპოვებდნენ. ამის მიუხედავად, მკვლევარმა მათ სრულად მისცა საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვის შესაძლებლობა, თუმცა ამავე დროს სტრატეგიული კითხვების მეშვეობით ამ მონაწილეებს დაეხმარა თავად აღმოეჩინათ მსგავსება ჰომოფობიური ნიშნით ადამიანების დევნასა და იმ დევნას შორის, რომელსაც თავად ეს ადამიანები რელიგიური მრწამსის გამო განიცდიან.

ამ მიდგომის დახმარებითა და დამატებით, განსაკუთრებული ძალისხმევით გარეშე, ფოკუს ჯგუფის ჰომოფობიურად განწყობილმა მონაწილეებმა თავადვე აღმოაჩინეს, რომ არგუმენტები, რომლებსაც მჩაგვრელი, დომინანტი ჯგუფები მათ წინააღმდეგ იყენებენ, არსებითად სულაც არ განსხვავდება იმ არგუმენტებისაგან, რომლებსაც ეს ახალგაზრდები ამ შეხვედრის მიმდინარეობისას სექსუალური ნიშნით ადამიანების ამოქულებისთვის იყენებდნენ. გამოვიდა, რომ მათ სხვა ჩაგრულ ადამიანებზე უცვლელად მიმართეს ის სიძულვილი, რომელსაც თავად ექვემდებარებიან და რომელიც მათ ასე ძალიან აწუხებთ. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო იმ მხრივ, რომ რელიგიური უმცირესობების ზოგიერთი ჰომოფობიურად განწყობილი ახალგაზრდა ლგბტ ადამიანებს მოიხსენიებდა „გადახრილებად“, „ცოდვილებად“, „გარყვნილებად“, „უცხოებად“, „ჩანერგვილებად“, რომელთა „ადგილი ჩვენს შორის არაა“ და მათი „საჯაროდ გამოჩენა უმრავლესობას აღიზიანებს“. ამავე დროს, ეს ადამიანები გამუდმებით ჩიოდნენ, რომ სწორედ ამ ტერმინებით ნათლავდა მათ ის ჯგუფი, რომელიც თავს ეთნიკურად ქართველად და „მართლმადიდებელ მრევლად“ მოიხსენიებს: კლასელები, მათი მშობლები, მართლმადიდებელი მღვდლები, მეზობლები, მასწავლებლები და ა. შ.

მონაწილეებმა ასევე თვალსაჩინოდ დაინახეს, რომ მიუღებლობას ერთნაირად დამანგრეველი შედეგი აქვს ნებისმიერი უმცირესობის წარმომადგენლისათვის. მკვლევარის მხრიდან ეს პარალელები გაკეთდა იმისთვის, რომ ახალგაზრდები დარწმუნებულიყვნენ - დისკრიმინაციის გამართლება შეუძლებელია ნებისმიერი რელიგიური დოგმით. თუ სიძულვილს გავამართლებთ ერთი რომელიმე ჯგუფის მიმართ, არაფერი უშლის ხელს უმრავლესობას ზუსტად იგივე მიზეზებით სხვა ჯგუფის დევნა დაიწყოს. სწორედ ამ სიძულვილის მსხვერპლები არიან ეს რელიგიური და ეთნიკური უმცირესობები დღეს და ზუსტად იგივე სიძულვილს გადასცემენ ისინი სხვა, მათზე კიდევ უფრო მეტად დევნილ და დაჩაგრულ უმცირესობებს. დღეს ასეთი ჩაგრულზე-ჩაგრული ჯგუფი საქართველოში თუ ლგბტ ადამიანებია, ხვალ მათ ადგილზე ნებისმიერი სოციალური და რელიგიური, ეთნიკური თუ რაიმე სხვა ნიშნით გაერთიანებული ჯგუფი შეიძლება აღმოჩნდეს. მაგალითად, როგ-მუსიკის მოყვარული ახალგაზრდები, გოგონები რომლებიც მინი კაბებს ატარებენ და ა. შ. ისტორია მსგავს მაგალითებს მრავლად იცნობს. სიძულვილს დასაწყისი ყოველთვის აქვს. დასასრული - თითქმის არასდროს. სიძულვილი თავის არაფრით შემოიზღუდავს. ის მხოლოდ იზრდება. მეტ და მეტ მსხვერპლს ითხოვს და ითრევს სიძულვილის მორევში, სადაც საბოლოოდ ყველა ერთად ან რიგ-რიგობით დაიხრჩობა. ამიტომ, იმის ნაცვლად რომ კიდევ ახალ-ახალი ჯგუფები ჩავითრიოთ სიძულვილის მდინარეში, ხელი უნდა გავუწოდოთ იმ ადამიანებს, ვინც დინებამ ჩაითრია და სამშვიდობოს გამოვიყვანოთ ისინი. სწორედ ასე მოხდა შეხვედრების დროს.

დისკუსიების დასასრულისკენ, მკვლევარის შეფასებით, ლგბტ ჯგუფების მიმართ აგრესიულად განწყობილი ადამიანების უმრავლესობამ რიტორიკა არათუ შეარბილა, არამედ პოზიციებიც კი შეიცვალა. ეს იმ ღიაობის დახმარებით მოხერხდა, რომელიც მათ მიმართ შეხვედრების წამყვანებმა და მონაწილეებმა გამოიჩინეს. ეს მნიშვნელოვნად გარდამტეხი მომენტი იყო და ამ სახელმძღვანელოს ავტორის აზრით, შესაძლოა იქცეს ერთ-ერთ საბაზისო მეთოდად, რითაც საქართველოში უმცირესობების დევნა, მათ შორის უმცირესობების მიერ ერთმანეთის დევნა, შეწყდება და ქვეყნის კეთილდღეობისთვის მათი ძალების რეალურად გაერთიანება გახდება შესაძლებელი.

ადამიანებმა უნდა დაინახონ, რომ სიძულვილს აუცილებლად მოყვება სიძულვილი და ის უსწრაფესად მიემართება მას, ვინც პირველად აღმართავს სხვაზე ხელს. ეს არ არის მხოლოდ სიბრძნე სახარებიდან, არამედ ის ყოველდღიური ცხოვრების ფაქტიცაა. ეს ბავშვობიდანვე კარგად იციან რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებმა. მაგრამ, ის რაც მათ არ იცოდნენ, იყო ის, რომ ზუსტად ამავე სიძულვილს ატარებდნენ ისინი სხვათა მიმართაც. ამით ისინი „სხვა“ (ამ შემთხვევაში ლგბტ) ჯგუფებს ურთულებდნენ ცხოვრებას, განსაკუთრებით კი სასკოლო ასაკში.

ამ სახელმძღვანელოს მისია სწორედ სასკოლო ასაკში მყოფი, სხვადასხვა

უმცირესობებს მიკუთვნებული ადამიანების დახმარებაა. ამ მიზნით ეს ტექსტი ეძიებს მტრულ, არამეგობრულ გარემოში თვითშენარჩუნებისა და გადარჩენის ინსტრუმენტების გამოკვეთას. ამიტომ, პიროვნების განვითარების ამ პერიოდზე ყურადღების გამახვილება განსაკუთრებულად მნიშვნელოვნად მივიჩნევთ.

მკვლევარისთვის აღმოჩენას არ წარმოადგენდა ისიც, რომ ხანდახან, მონაწილეები ქვეყნის შედარებით უფრო მდიდარი და განვითარებული რეგიონებიდან (მაგ. ფოკუს ჯგუფის მონაწილე სტუდენტები თბილისიდან, რომლებსაც მაღალი აკადემიური მოსწრება და მისწრაფებები აქვთ) თანმიმდევრულად მეტ ღიაობას, ინტელექტუალურ მზაობას ავლენდნენ და დისკუსიებს დადებით ტონს სძენდნენ. მრავალფეროვან გარემოში ცხოვრება, სხვადასხვა უმცირესობებთან თანაცხოვრების და კრიტიკული განსჯის შესაძლებლობა უდავოდ დადებით გავლენას ახდენს მიმდებლობის უნარებზე. თუმცა, კიდევ უფრო მეტად სასიამოვნო იყო იმის აღმოჩენა, რომ შედარებით ნაკლებად მიმდებელი მონაწილეებიც არ ყოფილან დახურულნი მრავალფეროვნებისა და ღიაობის გზაწილების მიმართ, მას შემდეგ რაც ისინი თავიანთი არამეგობრული, ჰომოფობიური თუ ქალთმომძულე მოსაზრებების გაზიარების შემდეგ კონსტრუქციულ და მეგობრულ გარემოში, მტკიცედ არგუმენტირებულ წინააღმდეგობას შეხვდნენ.

როგორც დისკუსიების დასასრულს რამდენიმე მონაწილემ აღნიშნა, ინფორმაცია, რომელიც მათ ფოკუს ჯგუფების მიმდინარეობისას მიიღეს და ის „ნამდვილი ისტორიები“ რაც მოისმინეს, მათ პოზიციების შეცვლაში დაეხმარა. მაგალითად, ერთმა მონაწილემ, რომელიც ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობას წარმოადგენს რეგიონიდან, დისკუსიის დასასრულს აღიარა, რომ სკოლაში ის თავად სდევნის „გარიყულ“ ადამიანებს და ახსნა, რომ ახლა მან გააცნობიერა თუ როგორ რცხვენია ამ „უღირსი საქციელის“ გამო.

მონაწილეებს შორის მრავლად იყვნენ ისეთი ახალგაზრდები, რომლებმაც აჩვენეს, თუ როგორ შეიძლება დღევანდელ საქართველოში ინდივიდმა გარკვეულ წარმატებას მიაღწიოს კონსტრუქციულად, საკუთარი თემის მხარდაჭერის არარსებობის პირობებშიც კი. მაგალითად, დისკუსიის ერთმა მონაწილემ ემოციურად ისაუბრა იმ წინააღმდეგობაზე, რომელიც მას თანასოფლელებისგან შეხვდა განათლების მიღების დროს. მაგრამ მან არა მხოლოდ დაძლია წინააღმდეგობა და შეძლო ქვეყნის ერთ-ერთ პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებელში ფსიქოლოგიის სპეციალობის სტუდენტი გამხდარიყო, არამედ თავისი გეგმებიც გაგვიზიარა, რომელიც მის სოფელში სკოლის მასწავლებლად დაბრუნებას და სხვა გოგონების დახმარებას გულისხმობს, რათა მათაც შეძლონ განათლების მიღება: ის, რაც დისკუსიის მონაწილემ მრავალწლიანი მძიმე ბრძოლისა და დამცირების შედეგად შესძლო. დამცირების მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ ის იყო, რომ ის ქალია და მისი თქმით, ქალისთვის არათუ დედაქალაქში სასწავლებლად წასვლა, არამედ სოფლის სკოლაში საშუალო განათლების მიღების სურვილიც კი რელიგიური

ტრადიციების წინააღმდეგ წასვლად და კულტურულ ამბოხად არის მიჩნეული.

ფოკუს ჯგუფების შეხვედრები ორად იყო გაყოფილი. პირველ ნაწილში მონაწილეები საუბრობდნენ არსებულ პრობლემებზე, მაგრამ შეხვედრების მეორე, უფრო მოზრდილი ნაწილი გამოსავლის ძიებას ეთმობოდა. მონაწილეებს მკვლევარი როლურ თამაშს სთავაზობდა, სადაც მონაწილეები ირგებდნენ განათლების მინისტრის, სკოლის ადმინისტრაციისა და სხვა მსგავს როლს. ყოველთვის, როდესაც მონაწილეები უბრუნდებოდნენ პრობლემების პერსპექტივას, მკვლევარი მათ შეახსენებდა რომ პრობლემებზე ყველანი უკვე შეთანხმებულები იყვნენ და ახლა მათ წუწუნის მაგივრად, აქტიურად უნდა შეემუშავებინათ გადაწყვეტილებები; მათხელში იყო ყველა ადმინისტრაციული, ფინანსური და სამთავრობო რესურსი. მთავარი იყო ის პრაქტიკული იდეები და გადაწყვეტილებები, რომლებსაც ეს მონაწილეები შეიმუშავებდნენ. თითოეულ დასახელებულ პრობლემაზე გამოსავლის შესათავაზებლად, მკვლევარი თითოეულ მონაწილეს აძლევდა მიკროფონს და სთავაზობდა ბოლომდე გამოეხატა მოსაზრება, თუნდაც ეს მიუღებელი ყოფილიყო ის სხვებისთვის. ამგვარად, მონაწილეებს აღარ ჰქონდათ შესაძლებლობა ხელი შეეშალათ სხვების აზრთა დინებისათვის, რომლის მცდელობაც მრავლად იყო.

ჩვენი რეკომენდაციით, როდესაც საქართველოში ჯგუფური დისკუსიები (ან საჯარო შეხვედრა, ან სატელევიზიო დებატი და ა. შ.) ტარდება, მონაწილეთა უმრავლესობა დაძაბულია, ორიენტირებულია მოწინააღმდეგის პოვნასა და მის გაჩუმებაზე. და ეს ხდება იმის ნაცვლად, რომ მოსაუბრემ საკუთარი კონსტრუქციული იდეები განავითაროს. ამიტომ, რიგითობის დაწესება და თუნდაც ყველაზე მძიმე, ფობიებით აღსავსე მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა პრინციპულად მნიშვნელოვანია. ეს ახალგაზრდებს ეხმარება თავი იგრძნონ უსაფრთხო გარემოში და შეუფერხებლად იაზროვნონ, რითაც მათი იდეები ნაკლებად იტვირთება სიძულვილით და სხვათა დამცირების სურვილით და გულწრფელ, გამოსავლის ძიებაზე ორიენტირებულ მსჯელობას ემსგავსება. ხოლო თუ ასეთ დაუბრკოლებელ გარემოში ადამიანს საშუალება მიეცემა ბოლომდე დაიცალოს და გამოხატოს მოსაზრება, მსმენელთა რეაქციები და ფასილიტატორის სტრატეგიულად შერჩეული კითხვები მას დამცირების გარეშე დაეხმარება გააცნობიეროს მისი ჰომოფობიური თუ სხვაგვარად სიძულვილით აღსავსე დამოკიდებულების აბსურდულობა. თუ ბნელი აზრების ტირაჟირების დროს ადამიანს საუბრის დასრულების შესაძლებლობა არ აქვს, ის მუდმივად კვლავ აწარმოებს მეტ და მეტ ექსტრემისტულ მოსაზრებას, რადგან ცდილობს კამათი მოიგოს და არ აქვს შესაძლებლობა საკუთარი ყურით გაიგონოს და შემდეგ გაიაზროს ექსტრემისტული მოსაზრებების აბსურდულობა. კარგად წარმართული, მშვიდი დისკუსია სწორედ ამგვარი გააზრების შესაძლებლობას ბადებს.

შეხვედრების მეორე ნაწილის შედეგად გამოვლინდა მონაწილეების პასუხი შეკითხვაზე - როგორი რეაქცია უნდა ჰქონდეთ ადამიანებს დისკრიმინაციაზე თუ ისინი ან მათ გარშემო სხვები აღმოჩნდებიან მისი მსხვერპლი?

მონაწილეების აზრით, რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას ამის აღმოსაფხვრელად?

ზოგადი შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა აზრით მთავარი პრობლემა სახელმწიფოს მხრიდან კანონის უზენაესობის პრინციპის დაუცველობაა როდესაც საქმე უმცირესობების უფლებებს ეხება. ამასთან, ისინი მიიჩნევენ რომ სამართალდამცავები ასეთ დროს ყოველთვის პასიურ პოზიციას იკავებენ, რითაც ისინი აგრესიულად განწყობილ ადამიანებში დაუსჯელობის განცდას აღვივებენ. ეს კი ამაღამიანებს სხვადასხვა ჯგუფებისათვის საკუთარი რწმენითა თუ შეკრების თავისუფლებით სარგებლობის უფლების წართმევას უადვილებს.

მონაწილეებმა გააცნობიერეს ისიც, რომ ერთიანობისა და მობილიზაციის გარეშე, ამ უფლებების დათრგუნვა მხოლოდ და მხოლოდ გაგრძელებად დროის გასვლასთან ერთად, რის შედეგადაც უფლებების **de facto** წართმევა დაკანონდება.

ფოკუს ჯგუფების დასრულების შემდეგ, 10 ყველაზე აქტიური მონაწილე შეიჩრა და მოგვიანებით მოწვეულ 10 ახალ მონაწილესთან ერთად, ინტენსიურ სატრენინგო კვირეულში მიიღო მონაწილეობა. მონაწილეთა შერჩევისთვის იგივე მეთოდი იყო გამოყენებული, რაც ფოკუს ჯგუფების დროს. 10 უკვე გამოცდილ მონაწილესთან ერთად, გვსურდა 10 ახალი ხმის მოძიება, რომლებსაც საკვლევ საკითხებზე მკვლევარების ზეგავლენებისგან, დაშვებებისა და მოსაზრებებისაგან თავისუფალი დამოკიდებულებები ექნებოდათ. შერჩევის ამ მეთოდს განაპირობებდა სახელმძღვანელოს ავტორის სურვილი - მრავალფეროვნების თვალსაზრისით მაქსიმალურად იდეალური ბალანსისათვის მიეღწია. მრავალფეროვნება უნდა ყოფილიყო როგორც მოსაზრებების, ისე რეგიონალური წარმომადგენლობის, მგრძობელობის, განათლების, ეთნიკური და რელიგიური კუთვნილებისა თუ გენდერული თანაფარდობის მხრივ.

სატრენინგო კვირეულისთვის პროექტის ექსპერტებმა მოამზადეს იმგვარი მოდული, რომელიც მონაწილეებს 5 დღის განმავლობაში შესაძლებლობას აძლევდა მთლიანად დაენახათ ადამიანის უფლებების პერსპექტივა - რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური, გენდერული თანასწორობის იდეოლოგიები და მოძრაობები, თანამედროვე და წარსული გამოცდილებები.

განმათავისუფლებელი მოძრაობების ისტორიული განვითარების გაზიარების კვალდაკვალ, მკვლევარი მონაწილეებს სთავაზობდა სხვადასხვა სავარჯიშოს, ჯგუფურ დისკუსიას, თემატურად ფოკუსირებულ განხილვასა და როლურ თამაშს. ამ აქტივობათა მიზანი უმცირესობათა საკითხებთან დაკავშირებით თანამედროვე ქართველი ახალგაზრდების დამოკიდებულებების კვლევა და მათი მგრძობელობის ზრდა გახლდათ.

ამავე დროს, მკვლევარი აკვირდებოდა იმ ნარატივებს რომლებიც იკვეთება ან პირიქით, მთლიანად არის ამოგდებული თანამედროვე

საქართველოს აქტუალური სოციალური პრობლემატიკიდან. ერთ-ერთი ასეთი ამოგდებული ნარატივის მაგალითია საქართველოს უახლოესი ისტორიის საკმაოდ ხანგრძლივი და მნიშვნელოვანი ეპიზოდი. ეს არის სამოქალაქო დაპირისპირებებისა და ომების გამოცდილება, რომელიც, როგორც პარადოქსულად აღმოჩნდა, თანამედროვე ქართველი ახალგაზრდების ცნობიერებაში იმ დროსაც კი არ ამოტივტივდება, როდესაც დისკუსია საქართველოში ეთნიკური და რელიგიური დაპირისპირების საკითხებს შეეხება.

ამგვარი „ამოგდების“ მიზეზების ახსნა აღნიშნული სახელმძღვანელოს მიზნებს სცდება, მაგრამ მისი საილუსტრაციოდ მოყვანა მაინც მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ის აჩვენებს ეთნიკური და რელიგიური თუ სხვა ნიშნით გარიყვის და ჩაგვრის იდეოლოგიების რეალობაში „ეფექტურ მუშაობას“ წარმოაჩენს.

მონაწილეები, რომლებიც 5 დღის განმავლობაში მთელი მსოფლიოს მასშტაბით განმათავისუფლებელ მოძრაობებსა და საკუთარი ჩაგვრის გამოცდილებებზე საუბრობენ, მრავალი მინიშნების მიუხედავად ვერც კი იხსენებდნენ, რომ უახლოესი 20 წლის განმავლობაში საქართველოს ჰქონდა რამდენიმე ეთნიკური კონფლიქტი და დაპირისპირება, სადაც დევნა განიცადა ადამიანთა მრავალმა ჯგუფმა. როდესაც ეთხოვთ საქართველოში ეთნიკური და რასობრივი ნიშნით დევნის მაგალითები მოეყვანათ, მონაწილეებს არ გასჭირვებიათ ჩამოეთვალათ თითოეული იზოლირებული ინციდენტი, რომელიც ინდივიდების ან ეთნიკური ჯგუფების წინააღმდეგ ყოფილა მიმართული, მაგრამ მათმა ცნობიერებამ ერთხელაც კი არ ამოგდო ის ფაქტი, რომ საქართველოდან მასიურად გადაასახლეს ე. წ. „თურქი მესხები“, რომ მრავალი წლის განმავლობაში ეთნიკურად სომეხს, ოს თუ აფხაზ მოქალაქეებსა და ეთნიკურად ქართველ ჯგუფებს შორის, თუნდაც გარე მტრული ძალის ხელშეწყობით, სამოქალაქო და ეთნიკური შუღლი იყო გაღვივებული რამაც ტერიტორიებთან ერთად, უზარმაზარი ადამიანური დანაკარგები მოგვიტანა. საქართველოში ეთნიკური ნიშნით დაპირისპირების მაგალითის მოტანის დროს შეხვედრის არცერთ მონაწილეს გაკვირთაც კი არ უხსენებია სამაჩაბლოს ან აფხაზეთის წარსული და მიმდინარე კონფლიქტები. თუმცა, როდესაც მკვლევარმა თავად შეახსენა მონაწილეებს ამ გამოცდილებების შესახებ, სულაც არ ყოფილა ისე, რომ მონაწილეებს არ ჰქონოდათ ფაქტობრივი ცოდნა ამ ისტორიის შესახებ. არამედ, როგორც ჩანს, ეს მტკივნეული გამოცდილება იმდენად ღრმად არის დამარხული და უგულებელყოფილი, რომ ცნობიერების ზედაპირზე მისი ამოტანა, გულწრფელი განხილვა და მრავალმხრივი შეცდომების გაანალიზება საჭიროდ არავინ მიიჩნია.

თუ რაიმე სახის განზოგადების უფლებას მივცემდით თავს, შეგვეძლო გვეფიქრა, რომ ამ მტკივნეული გამოცდილებისაკენ მიბრუნება და აქტუალიზაცია ჩვენს ფსიქიკას განსაკუთრებით მტკივნეულად აწუხებს, ერთულება და ყველანაირად გაურბის. ეს კი უპირველეს ყოვლისა იმას

ადასტურებს, რომ თუ საქართველოში კვლავ გაჩნდება ინტერ-ეთნიკური ან ახლა უკვე, რელიგიური დაპირისპირების საფრთხეც, ნამდვილად არ ვართ მზად წარსული შეცდომები გავიზაროთ და ამით, სამომავლო დამანგრეველი კონფლიქტების თავიდან არიდება შევძლოთ. როგორც აღინიშნა, ეს საკითხი სხვა ნაშრომის თემატიკაა, მაგრამ მასზე საუბარი, ეროვნული მნიშვნელობიდან გამომდინარე, მაინც საჭიროდ მივიჩნით.

შეჯამების სახით, შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ ფოკუს-ჯგუფებისა და სატრენინგო კვირეულის მიმდინარეობა ემოციურად იყო დატვირთული, როგორც ამაღლებული, ისე დაძაბული მომენტების მხრივ. ეს არ ყოფილა მხოლოდ ინფორმაციის გაცვლის შესაძლებლობა, არამედ ჩვენი შეფასებით, ერთდროულად იყო ტრანსფორმაციის ძალის მქონე, მძლავრი მომენტი სადაც სიმართლე და ღიაობა ერთდროულად თანაარსებობდა.

სწორედ ამ გამოცდილების მეშვეობით გახდა ამ სახელმძღვანელოს შექმნა შესაძლებელი. თითოეული სავარჯიშო, დასკვნა თუ შეთავაზება განპირობებულია ახალგაზრდების იმ შესანიშნავ ჯგუფებთან მუშაობით, რომლებმაც საკუთარი შინაგანი სამყარო, მტკივნეული გამოცდილებების გაზიარების ჩათვლით, ჩვენთვის ყოველგვარი დათქმების გარეშე გახსნეს. ამით მათ შესაძლებლობა მოგვცეს, ერთად გვემსჯელა საქართველოს ისეთ აწმყოსა და მომავალზე, სადაც ეთნიკური, რელიგიური, გენდერული მრავალფეროვნება საქართველოს გამაერთიანებელი და გამაძლიერებელი ფაქტორია და არა ადამიანთა დამცირების, დაკნინებისა და გარიყვის ინსტრუმენტი.

ნაწილი I.

წარმატების მიღწევა მბრუნ გარემოში არის შესაძლებელი

ინკლუზიური და ანგარიშვალდებული (თვით)მმართველობა, მშვიდობიანი პლურალიზმი, განსხვავებულობისა და ადამიანის უფლებების პატივისცემა ჩვენი დროის უდიდესი გამოწვევებია. თანამედროვე მსოფლიოში, აღმოსავლეთით რადიკალური, ფსევდო-რელიგიურ იდეოლოგიებზე დაფუძნებულ ტერორიზმი განიცდის აღმავლობას. დასავლეთში მასზე საპასუხოდ ასევე რადიკალურად ანტი-მეცნიერული პოპულიზმი იკრებს ძალებს. ამ ორ დამანგრეველ ტალღას შორის მოქცეულები, ჩვენ კიდევ მეტად ვშორდებით ადამიანური საზოგადოების მთავარ, საყოველთაო გამოწვევებს - როგორ მივაღწიოთ გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფასა? როგორ დავიცვათ ქალებისა და გოგონების უფლებები? როგორ დავეხმაროთ სოციალური, ეკონომიკური, სექსუალური, გეოგრაფიული და სხვა ნიშნების გამო დისკრიმინირებულ ადამიანთა ჯგუფების რეაბილიტაციას? როგორ გავაძლიეროთ ყველა, ვისაც უსამართლოდ დევნიან და ჩაგრავენ?

საყოველთაო გამოწვევებთან ერთად, რომელიც ზედა პარაგრაფშია აღწერილი, საქართველოს დამატებით ის სირთულეც აქვს რომ რეგიონში ის ფაქტობრივად ერთადერთი ქვეყანა დარჩა, რომელსაც ხელი არ აუღია დემოკრატიულ იდეალებზე. საერთაშორისო ორგანიზაციათა შეთანხმებული პოზიციით, საქართველოს მეზობლები, ყველა მხრიდან მზარდად რეპრესიულ რეჟიმებს წარმოადგენენ. დასავლურ გაერთიანებათა გაურკვეველი მომავალი, რომლებშიც საქართველო წლებია გაერთიანებას ელტვის, კიდევ მეტად ზრდის გაურკვეველობას. არავინ იცის რა ბედი ელის ევროკავშირს, თუ ბრიტანეთის შემდეგ მის დატოვებას ევროპის სხვა ქვეყნებიც მოინდომებენ. ნატოს მიმართ ამერიკის ახალი ადმინისტრაციის სკეპტიკურმა დამოკიდებულებამ და დაფინანსების შემცირების მუქარამ შესაძლოა დომინოს ეფექტი იქონიოს და ამ ორგანიზაციის მიმართ საქართველოს მოქალაქეებშიც შეარყიოს რწმენა. ნატო და ევროკავშირი მართალია ფორმალური პოლიტიკური და სამხედრო გაერთიანებებია, მაგრამ ადამიანის უფლებების პერსპექტივიდან დანახული, ამ გაერთიანებების წევრობა ჩვენთვის იმიტომაც იყო მნიშვნელოვანი, რომ ისინი სხვა, უფრო მაღალი დონის დემოკრატიულ ღირებულებებსა და სტანდარტებს აწესებენ, რაც აქამდე ჩვენთვის ხელმისაწვდომი არ ყოფილა.

საქართველოსთვის განსაკუთრებით მძიმე პერიოდი დგას. გაურკვეველი დასავლური პერსპექტივების ფონზე, ქვეყანაში აღმავლობას განიცდის რასიზმი. ეთნიკური და რელიგიური ნიშნით შეუწყნარებლობის კულტურა

კი ჩვენთან ტრადიციულად ძლიერია. კულტურული მრავალფეროვნება აქ რთულად აღსაქმელი და მიუღებელია. ქალებისა და ლგბტ ადამიანების დევნა და შევიწროვება, მათი უსაზღვრო სექსუალიზაცია და ფიზიკურად დასჯის ვნება - ახალი ეროვნული ნარატივის განუყოფლად წარმოჩენილი ნაწილია.

ამიტომ, ნებისმიერი მცდელობა, რომელიც საქართველოში ორი ყველაზე მძიმედ დაჩაგრული სოციალური ჯგუფის - ქალებისა და ლგბტ ადამიანების - გაძლიერებას ეძღვნება, ახლო პერსპექტივაში განუზომელი მარცხისთვის არის განწირული. ხოლო სამომავლოდ, აწმყოში განცდილი მარცხის მიუხედავად, ეს ბრძოლა უმნიშვნელოვანეს წვლილს შეიტანს ახალი ქართული ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბებაში.

საბაზისო პრობლემები და წარუმატებლობის პროფილები დისკრიმინირებულ თემებში მრავლად არის. თუმცა, ეს ისტორიის მხოლოდ ერთი ნაწილია. „უბედურებების“ ეს ამბები ასევე გაწონასწორებულია წარმატებების ისტორიებით, რაც აჩვენებს თუ როგორ გადარჩა ზოგიერთი ადამიანი და ამ მტრულ გარემოში კეთილდღეობასაც კი მიაღწია.

ეს ნაშრომი არის მცდელობა, აღწეროს და ფურცელზე გადაიტანოს ის სტრატეგიები, რომელსაც უმცირესობის თემებს მიკუთვნებული ქართველი ახალგაზრდები გადარჩენისთვის ბრძოლაში მიმართავენ.

სახელმძღვანელოს მომზადების პერიოდში ჩატარდა ჩაღრმავებული ინდივიდუალური ინტერვიუები, ფოკუს-ჯგუფები და ჯგუფური სავარჯიშოები. ამ საქმიანობათა დახმარებით, ჩვენ მივიღეთ ინფორმაცია, რამაც მნიშვნელოვანი სიცხადე შეიტანა იმ ადამიანების თვითგადარჩენის სტრატეგიებსა და სოციალურ დინამიკაში, რომლებსაც მტრულ, არამეგობრულ გარემოში უწევთ ცხოვრება. საუბარია არა მხოლოდ სხვადასხვა ეთნიკურ, გენდერულ, რელიგიურ თუ სხვა უმცირესობათა თემებს მიკუთვნებულ ადამიანებზე, არამედ ნებისმიერი სოციალური ჯგუფის წარმომადგენლ ადამიანზე. საბაზისო დაშვებას წარმოადგენს ის, რომ საქართველოში ცხოვრება არავისთვის არის ადვილი. განსაკუთრებით მძიმეა ცხოვრება ახალგაზრდებისათვის. სიტუაცია ორმაგად მძიმეა თუ ახალგაზრდები სოფლად ცხოვრობენ. ბულინგი და დაჩაგრვა, რესურსებისა და შესაძლებლობების სიმწირე მძიმე დაღს ტოვებს ადამიანებზე. ეს ყველაფერი სამმაგ ტვირთად აწევს მათ, ვინც არა მხოლოდ რეგიონებში ცხოვრობს, არამედ ამავე დროს რამდენიმე სახის უმცირესობასაც მიეკუთვნება.

სახელმძღვანელოს დასასრულს, ჩვენ შევეცადეთ აღგვეჩერა ის სავარჯიშოები, რომლებიც ადამიანებს ეხმარება დაძლიონ სიღარიბით, დისკრიმინაციითა და გეოგრაფიული ფაქტორებით გამოწვეული სირთულეები, მოიპოვონ ლიდერობა და ასეთ რთულ დროში საკუთარი თემების გაძლიერება დაიწყონ ფიქრი.

საზოგადოებაში მიმდინარე უარყოფითი ტენდენციები თითქოს კონკურენტ ჯგუფებს მიეწერება, მაგრამ ეს სიმართლისგან ძალიან შორს დგას. მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ საზოგადოების ყველაზე ცოცხალი, მრავალფეროვანი და წარმატებული ინდივიდები უმცირესობათა თემებიდან სწორედაც რომ ცხოვრობენ და კეთილდღეობას აღწევენ უმცირესობებისთვის გარეგნულად საკმაოდ მტრულ გარემოში. ენერჯის სწორად მიმართვის შემთხვევაში, ჩაგვრის გამოცდილება წარმატების და სხვათა შთავგონების სტიმულად შეიძლება ვაქციოთ.

ქართულ საზოგადოებაში ჩამოყალიბდა სოციალური სტრუქტურები, რომლებიც ერთ დროს სტაბილურობას უზრუნველყოფდნენ. ეს სტრუქტურები სხვადასხვა კატეგორიის ადამიანების ერთმანეთისაგან მკაცრად იზოლირებულ სოციალურ ჯგუფებში ათავსებდნენ, რითაც ბალანსს ქმნიდნენ და ინარჩუნებდნენ კიდევ. თუმცა, ქართული (და ზოგადად ადამიანური) საზოგადოების გარდაუვალი განვითარების წყალობით, ასეთი სეგრეგაციული სტრუქტურები ახლა ნაკლებად სტაბილური გახდა. ის სარგებელი, რომელსაც მთლიანად საზოგადოება ამგვარად დანაწევრებული, იზოლირებული თანაცხოვრებით იღებდა, განუხრელად მცირდება.

საზოგადოების ერთმა უმცირესმა ნაწილმა, რომელიც განსაკუთრებული აგრესიულობის წყალობით პრივილეგირებულ მდგომარეობა მოიპოვა, უმრავლესობის სახელით დაიწყო საუბარი და ამ გზით საზოგადოების რეალურ უმრავლესობის დაჩაგრვა მოახერხა. ჩამოყალიბდა ფასადური სისტემა.

ჩვენს შემთხვევაში, ეს პრივილეგირებული ჯგუფი ამოეფარა მორალის, რელიგიისა და ტრადიციების დამცველთა ცარიელ ტიტულს. ცარიელ ტიტულს იმიტომ ვუწოდებთ, რომ მორალს დაცვა არ ჭირდება. მორალს შესრულება ჭირდება. თუ ყველა ადამიანი მორალურადა მოიქცევა, საზოგადოება იქნება მორალური. სხვებისთვის მორალის დაცვისკენ მოწოდება სინამდვილეში ადასტურებს იმას, რომ ადამიანები მორალს არ იცავენ და მორალურ არგუმენტებს ამოფარებულები, მხოლოდ საკუთარი პრივილეგიების განმტკიცებას ელტვიან. რელიგიას, მორალსა და ზნეობას ამოფარებული ადამიანები ამ ყველაფერს ყოველთვის სარგებლის მისაღებად იყენებდნენ და ეს ასე იყო ყოველთვის. თუმცა, ჩვენ ახლა ვხედავთ რომ ეს სისტემა საქართველოში განუხრელ ეროზიას განიცდის.

გარდაუვალი ხდება დაპირისპირება აქამდე მიწის ქვემოთ ცოცხლად დამარხულ, სხვადასხვა საბაბითა და მოტივით განდევნილ ადამიანებსა და პრივილეგირებულ ელიტებს შორის. მიწის ზედაპირზე ამოსვლასთან ერთად, საკუთარი უფლებებისთვის ბრძოლა დაჩაგრულმა ადამიანებმა პრივილეგირებული ჯგუფების სიყალბის გამოაშკარავების გზით დაიწყეს. ჩვენ ახლა უკვე ყოველდღიურად ვაკვირდებით თუ როგორ განუხრელად კარგავს

„წარმატების ფორმულაზე“ ექსკლუზიურ წვდომას მორალური უპირატესობის გრძნობით აღჭურვილი უმცირესობა.

მოსალოდნელია, რომ როგორც უმცირესობებს, ისე უმრავლესობას მიკუთვნებულ სოციალურ ჯგუფებში ფართო, ყოვლისმომცველი ნარატივები შეიცვლება. ისეთი მოწოდებების, როგორებიცაა „ყველა ქალი სამზარეულოში“, „ყველა ლგბტ ადამიანი უნდა მოკვდეს“ ან „გავდევნოთ ყველა არამართლმადიდებელი ადამიანი საქართველოდან“ მიზანი მზის ქვეშ ადგილის დაკავება კი არ არის, არამედ საზოგადო სივრციდან სხვა ადამიანების განდევნაა. თუმცა გაბრდილი წინააღმდეგობის მოძრაობების დახმარებით ეს მოწოდებები გაცილებით დავიწროვებული ფოკუსის მქონე ნარატივებს დაუთმობენ ადგილს.

ამ ნარატივების სტრატეგიული მიდგომები შედარებით დაკონკრეტებული და დავიწროებულია. მომავლის მტრულ გარემოში გადასარჩენად ისინი არსებით დატვირთვას ატარებენ. მაგალითად, უმრავლესობას მიკუთვნებული ჯგუფები შესაძლოა საჯაროდ აღარ ელტვოდნენ ქალებისთვის საარჩევნო ხმის უფლების წართმევას, ყველა მუსლიმის საქართველოდან განდევნას, ან ყველა ჰომოსექსუალი ადამიანის გეშე დასმასა და შავ ზღვაში ჩაძირვას. სამაგიეროდ, მოსალოდნელია რომ მათი მხრიდან გაძლიერდება გზავნილები და პოლიტიკური მცდელობები, რათა ლგბტ ადამიანებს წაერთვათ განათლების სფეროში მუშაობის უფლება, გამოხატვის თავისუფლება, მისაწვდომობა ჯანდაცვის მომსახურებაზე, სამართლიან მართლმსაჯულებაზე და ა. შ.

ქალთამიმართ სტრატეგიულად დავიწროებული მიდგომების მაგალითებია: შეტევა ქალთა რეპროდუქციულ უფლებებზე, განსაკუთრებით იმ სამედიცინო პერსონალის დევნა და დაფინანსების წართმევა, ვინც აბორტსა და ოჯახური დაგეგმვის სფეროში მუშაობს; ქალთა მიმართ ძალადობის რეალური იგნორირება მართლმსაჯულების სფეროში, ეკონომიკური დამოუკიდებლობის და სამკვიდრო უფლებების წართმევაზე მიმართული მცდელობები და ა. შ.

რაც ეხება ეთნიკურ და რელიგიურ დევნას, შიდა ეროვნული შუღლის საჯაროდ გაღვივების და დაპირისპირებისადმი მოწოდების ნაცვლად, დევნის სტრატეგიები უფრო და უფრო „იხვეწება“ - ლოცვისა და სარიტუალო შეკრების ადგილების წართმევა, წართმეული უფლებების აღდგენის პროცესში აქტიურად ხელის შეშლა ან იქ სადაც სახელმწიფო აქტიურად უნდა ერეოდეს თანასწორობის დაცვის მიზნით - მიზანმიმართულად პასიურობის გამოჩენა, სიძულვილის მქადაგებელი ჯგუფების ფარული და ნახევრად შეფარული მხარდაჭერა, სიძულვილის ჯგუფების დაცვა და ფარული დაფინანსება პრივილეგირებული ჯგუფების კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო თუ კერძო ფინანსებით, და ა. შ.

ცვლილებები ადგილობრივ განმათავისუფლებელ მოძრაობებში საქართველოში

რაც შეეხება უმცირესობათა ჯგუფებს საქართველოში, უმრავლესობას ამოფარებული ჯგუფების ტაქტიკის ცვლილების შესაბამისად შეიცვლება მათი მიდგომებიც. გაბატონებული იდეოლოგიებთან „ერთი ყველას წინააღმდეგ“ მიდგომას ჩაანაცვლებს მიზანმიმართული თავდაცვითი ბრძოლა კონკრეტული უფლების აღდგენის ან კონკრეტული პოლიტიკური ცვლილების დასაწინააღმდეგებლად.

მაგალითად, ამჟამად საქართველოში ლგბტ მოძრაობისთვის პირველი, თვითგამორკვევის ეტაპი მიმდინარეობს. ამ ეტაპზე ლგბტ ადამიანები მხოლოდ საბაზისო უფლების დაცვას ელტვიან. ეს არის თუ შეიძლება ასე აღიწეროს, მათი სტრატეგიული მიდგომა. სამომავლოდ, ამ სტრატეგიული მიდგომის დახვეწა აუცილებლობით გულისხმობს მიზანმიმართულ და გრძელვადიან კამპანიებზე გადასვლას ჯანდაცვის, სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემების მოსაგვარებლად.

ამის მსგავსად, რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელმა ჯგუფებმა შესაძლოა ძალისხმევა გააერთიანონ სახელმწიფო დაფინანსების გათანაბრების საკითხზე. ინტერ-ეთნიკურმა გაერთიანებებმა ერთობლივი ძალისხმევით შესაძლოა აწარმოონ საგანმანათლებლო კამპანიები საჯარო სკოლებში, რომლის მიზანი იქნება მაგალითად, სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების შესახებ საზოგადოებაში გავრცელებულ სტერეოტიპებთან ბრძოლა.

ქალთა ორგანიზების ფოკუსში რამდენიმე წლის განმავლობაში შესაძლოა მოექცეს ფემიციდის აღმოფხვრა ან სამემკვიდრეო სამართლის საკითხები, რამაც ქალთა ეკონომიკური თანასწორობა უნდა უზრუნველყოს და ა. შ.

სახელმძღვანელოს მიზანი, უმცირესობებს მიკუთვნებული ახალგაზრდების გაძლიერებასთან ერთად, ისიცაა, რომ ხელი შეუწყოს ქართული საზოგადოების გამთლიანებას. ეს შესაძლოა მოხდეს სხვადასხვა უმცირესობას მიკუთვნებულ სოციალურ ჯგუფებში იმ საერთო და განმასხვავებელი თვითგადარჩენის სტრატეგიების გამოკვლევის გზით, რომლებსაც ეს ადამიანები გაბატონებულ იდეოლოგიებთან მშვიდობიანი თანაარსებობისთვის ბრძოლის გზაზე იყენებენ. ახალგაზრდები ნაკლებად ჩაკეტილები და დამძიმებულნი არიან საქართველოს კოლონიური, საბჭოთა გამოცდილებით. ხშირად, გეოგრაფიული ადგილმდებარეობისა და სხვადასხვა სოციალური და ეკონომიკური ფაქტორების თანხვედრის წყალობით, მათი ემპირიული გამოცდილება და ბრძოლა ღირსეული თანაცხოვრებისათვის, სწავლის უფლების მოპოვებისათვის, სკოლაში ბულინგისგან თავის დასაღწევად და ა. შ. რამდენადაც შესაძლებელია დაშორებულია ფართო, შედარებით

„დამძიმებულ“ ნარატივებს. ამის მაგალითია კვლევის მონაწილე ერთ-ერთი გოგონას შემთხვევა, რომელიც ერთ-ერთ იზოლირებულ, მაღალმთიან სოფელში, სკოლაში სიარულის უფლების მოსაპოვებლად იბრძვის და ამისთვის უხდება თანასოფლელებთან, ნათესავებთან, თანატოლებთან კულტურულ კონფლიქტში ჩართვა. ეს ბრწყინვალე მაგალითია იმისა, თუ ერთდროულად როგორ არის მოწყვეტილი უფლებებისთვის ბრძოლა ყველა სხვა ფართო საკითხს და ამავე დროს, როგორ ორგანულ კავშირშია ის ყველაფერ იმასთან, რაც თანამედროვე მსოფლიოში ხდება: ბრძოლა საყოველთაო სიბნელესთან, რომელიც ტრადიციების სახელით ადამიანს, მისი გენდერული კუთვნილების გამო, ღმერთის სახელით ფაქტობრივად უკრძალავს სკოლაში სიარულს, წიგნების კითხვას, უმაღლესი განათლების მიღებას და „გარყვნილ“ დედაქალაქში საცხოვრებლად გადასვლას. ის ფაქტი, რომ ეს ხდება არა შორეულ ქვეყნებში, სადაც გოგონებს სკოლაში სწავლის გამო სახეში მუჟავას ასხამენ და სიკვდილით სჯიან, არამედ ევროკავშირის წევრობის მსურველ, ევროსაბჭოს წევრ საქართველოშიც კი, მტკიცებულებაა იმისა, თუ რამდენად ინდივიდუალური და ამავე დროს საყოველთაოა თითოეული უმცირესი უფლებისთვის ბრძოლა. ყველაფერი, რაც საქართველოში ხდება უფლებების წართმევის თუ მოპოვების გზით, ორგანულ კავშირშია თვითგადარჩენისა და ღირსეული თანაცხოვრებისთვის მსოფლიოს ადამიანთა ბრძოლასთან.

თანაცხოვრების სწავლა რთულია, მაგრამ არა შეუძლებელი. სახელმძღვანელოს მესამე მიზანია იმ საერთო, ადამიანური ძალის პოვნა და გამოკვეთა, რომელიც ამ თანაცხოვრების შესაძლებლობას ქმნის. რადგან ადამიანურ ისტორიაში არ არსებობს პრეცედენტი - მშვიდობიანი თანაცხოვრების და თანასწორობის მცდელობა პრივილეგირებული უმრავლესობის მხრიდან, გემოდან - ქვემოთ წამოსულიყოს. ამიტომ, დროა სწორედ უმცირესობებს მიკუთვნებულმა ადამიანებმა გადადგან პირველი შემხვედრი ნაბიჯი ჩვენი საერთო კეთილდღეობის მშენებლობის გზაზე.

ამავე დროს, მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ის იდეოლოგიები, რომლებიც სხვადასხვა უმცირესობაში მოქცეულ ჯგუფებს ბედის ირონიით აქ აახლოებს, სხვა საზოგადოებასა და სხვაგვარ კონფიგურაციაში, დაპირისპირებას იწვევს. მაგალითად, თუ საქართველოში ისლამის მიმდევარი ადამიანები და მათი წარმომადგენელი ორგანიზაციები იგივე სიძულვილს ელობებიან, რასაც ლგბტ ადამიანები და ამის გამო, მათ შორის თანამშრომლობა შესაძლებელია, ასეთი რამ შეუძლებლად მოჩანს იქ, სადაც ისლამია გაბატონებული რელიგია და არა მაგალითად, ქრისტიანობა.

საილუსტრაციოდ აგრეთვე შეგვიძლია ვახსენოთ სხვადასხვა პროტესტანტული ჯგუფები და მათი სასულიერო ლიდერები, რომლებიც საქართველოში აქტიურად თანამშრომლობენ ქალთა, ლგბტ თუ ისლამურ

ჯგუფებთან. თუმცა ეს ასე მარტივად არაა დასავლეთში. დასავლეთის ქვეყნებში მათი ეკლესიების ერთი, გავლენიანი ნაწილი, სწორედ ამ სამ ჯგუფზე აწარმოებს იდეოლოგიურ შეტევას. ამის წყალობით, ეს ქრისტიანული ეკლესიები დასავლეთში იმის მსგავს გავლენასა და პრივილეგიებს ელტვიან, რასაც საქართველოში მართლმადიდებელი ეკლესია, როდესაც ის ლგბტ ადამიანებ, ქალებსა და მუსლიმებს ესხმის როგორც ღიად, ასევე ფარულად.

ეს არგუმენტი მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ ყოველთვის გვახსოვდეს: ნებისმიერი იდეოლოგია, რაც უნდა უვნებლად ან პირიქით, საშიშად გამოიყურებოდეს, არის ადამიანური ფანტაზიის, პოლიტიკის და სოციალურ-ეკონომიკური მოწყობის ინსტრუმენტი. ნებისმიერი იდეოლოგიის გამოყენება შეიძლება, როგორც ადამიანთა გასანადგურებლად, ისე ადამიანთა შორის მშვიდობისა და კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად. რელიგია არც კარგია და არც ცუდი. ადამიანთა ხელში რელიგია შეიძლება იქცეს მშვიდობის ინსტრუმენტად ან განადგურების იარაღად. ასევე ნებისმიერი სხვა იდეა, იდეოლოგია თუ რწმენა-წარმოდგენების სისტემა.

მაგალითად მეოცე საუკუნეში ფაშისტები ლგბტ ადამიანებს მტრის ხატად წარმოაჩენდნენ. დღეს კი ევროპაში მზარდი ანტი-საიმიგრაციო, ნეო-ფაშისტური პარტიები მუსლიმი იმიგრანტების დევნას იმით ამართლებენ, რომ ისინი ევროპულ ღირებულებებს არ იზიარებენ და ქალებს აუბატიურებენ, ცოლებსა და დებს ჩადრით სიარულს აიძულებენ, ხოლო ლგბტ ადამიანებს კლავენ. დიახ. თანამედროვე ფაშიზმში, მათ შორის, ლგბტ ადამიანების უფლებების დაცვის მიზნით მუსლიმი იმიგრანტების დევნას ამართლებს.

მაშინ როდესაც ზოგიერთი ბაპტისტური ეკლესია ამერიკაში ლგბტ ადამიანების მიმართ ყველაზე ძლიერ სიძულვილს აღვივებს, საქართველოში ლგბტ ადამიანებს ბაპტისტურ ეკლესიაზე ერთგული და სანდო მოკავშირე არ ჰყავთ. მცირეოდენი განსხვავებების მიუხედავად, როგორც ის ამერიკული, ისე ეს ქართული ბაპტისტური ეკლესია მაინც ერთსა და იმავე წყაროს - ბიბლიას ეყრდნობა, ისევე როგორც ერთი ან მეტი ქართველი, ევროპელი თუ შუა აღმოსავლელი მუსლიმებისთვის. პრობლემა იდეოლოგიებში თუ რელიგიებში ნაკლებადია. პრობლემაც და მისი გასაღებიც ადამიანის დამოკიდებულებაშია (ან უფრო მართებული იქნებოდა თუ ვიტყვით - დამოუკიდებლობაში) ამ იდეოლოგიებთან. იდეოლოგია არ გვმართავს. სინამდვილეში, ნებისმიერი იდეოლოგიური არჩევანის უკან ადამიანის გადაწყვეტილება დგას. და თუ იმაზე შევთანხმდებით, რომ იდეოლოგია არ გვმართავს, არც იმის გაგება უნდა იყოს რთული, რომ ჩვენ თავად ვარჩევთ ის ამოვიკითხოთ წმინდა წერილებსა თუ ტექსტებში, სამეცნიერო ნაშრომებსა თუ კულტურულ ტრადიციებში, როგორი მორალი, ღირსება და დამოკიდებულება თავად გავაჩინა.

როდესაც ჩვენი მორალური არჩევანი, კულტურული თუ იდეოლოგიური

ინსტრუმენტი განპირობებულია ემპირიული გამოცდილებით, ემყარება კულტურული მრავალფეროვნების ცოდნას და კრიტიკულ აზროვნებას და როდესაც ამგვარად გაძლიერებული ადამიანები საზოგადოების დიდ ნაწილს შეადგენს, განსხვავებულობა ერთმანეთის დევნის ინსტრუმენტი აღარ არის. განსხვავებულობა ურთიერთგაძლიერების შესაძლებლობაა. ის თითოეული ჩვენგანის სულიერ და მატერიალურ კეთილდღეობაზე დადებით გავლენას ახდენს.

გარე გეოლოგის როლი საქართველოში უმცირესობათა მდგომარეობაზე

როგორ ვითარდება ისეთი საზოგადოება „მტრული“, „გარე გეოლოგის“ შედეგად, რომელიც ზოგადად ცვლილებებს ადვილად არ იღებს? „მტრულ“, გარე გეოლოგიაში სინამდვილეში ის იგულისხმება, რომ ადამიანები აღარ არიან თანახმა იმალებოდნენ და თავის ხმას, მსოფლიოს სხვადასხვა განმათავისუფლებელ მოძრაობას უერთებენ. ეს კი ასეთ ჩაკეტილ საზოგადოებაში აღიქმება როგორც გარედან თავს მოხვეული იდეოლოგიების დახმარებით ადგილობრივად ჩანერგილი და უცხო ელემენტების გააქტიურება.

იდეა მტრული ელემენტების ჩანერგვის შესახებ სიმართლისგან უფრო შორს ვერ იქნებოდა, მაგრამ როდესაც გავლენიანი ჯგუფების ძალა მხოლოდ ჩაგვრასა და გარიყვაზე აგებული, მათ ისღა დარჩენიათ ყველა ქალი, რომელიც საკუთარი ბედის თავად მართვას გადაწყვეტს, ყველა „სხვა“ რელიგიის მიმდევარი რომელიც ლოცვას გაბედავს, ყველა ლგბტ ადამიანი, რომელიც ქუჩაში გაივლის, ყველა სომეხი და „თათარი“ რომელიც „ჩვენთან ჩამოვიდა“ - წარმოაჩინოს როგორც უცხოეთიდან ჩანერგილი, არა-ენდემური სახეობა.

თითქოსდა „გარედან თავს მოხვეული იდეოლოგიების“ არგუმენტს კვებავს ისიც, საერთაშორისო სამართლებრივი, დიპლომატიური და კულტურული არხების მეშვეობით, სოციალური და ეკონომიკური თანასწორობის მხრივ შედარებით განვითარებული საზოგადოებები ცდილობენ ამ მხრივ შედარებით ნაკლებად განვითარებული საზოგადოებები დაარწმუნონ იმ სტანდარტების განუხრელი დაცვის აუცილებლობაში, რომელიც მთლიანად ადამიანთა მოდგმას სასიკეთოდ წაადგება.

რისი დაცვისკენ მოგვიწოდებს განვითარებული ქვეყნები? ესენია წესები რომლებიც მინიმალური, საბაზისო ადამიანური უფლებებისა და ღირსებების დაცვას უზრუნველყოფს. ასეთ წესებს შორისაა უსაფრთხო განვითარების, პიროვნების თავისუფალი განვითარების, ადამიანური პოტენციალის

შეუზღუდავი რეალიზების, გარემოს დაცვის, განათლების, ჯანდაცვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

ჩამოთვლილ უფლებათაგან არცერთი საქართველოსთვის კულტურულად უცხო და მიუღებელი არ არის. ყველა ეს უფლება ისედაც დიდი ხანია საქართველოს კონსტიტუციასა და კანონებშია გაწერილი. მაგრამ, თავისთავად ის ფაქტი რომ მათი შესრულებისკენ მოწოდება გარედან ხდება, ადგილობრივი აპათიის წყალობით პრივილეგირებულ მდგომარეობაში მყოფ ელიტებს ანერვიულებს, ხოლო მათთან მიკუთვნებულ ჯგუფებს პრივილეგირებული მდგომარეობის დაკარგვით ეშუქება.

საყოველთაო, ადამიანური თანაცხოვრების და მინიმალური სტანდარტების დაცვის მოთხოვნას ადგილობრივი პოლიტიკური და სასულიერო ელიტები ამიტომ წარმოაჩენენ როგორც უცხო, გარყვნილსა და მიუღებელს. შედეგად კი დგება საყოველთაო ფარსის მომენტი, როდესაც ყველაფერი ადამიანური და მორალური გამოცხადებულია როგორც ამორალური და ხელოვნური. ამავდროულად, ჩაგვრა და მანიპულირება, გარიყვა და პრივილეგიებით სარგებლობა - გარდაუვალ, ღვთით მოვლენილი რამედ არის გამოცხადებული მათთვის, ვინც ეს „დაიმსახურა“.

იმ გაუკუღმართებული რეალობის გათვალისწინებით, რომელიც საქართველოშია შექმნილი, დროა ვიკითხოთ: უმცირესობებისათვის, როლებსაც სოციალური მიმდებლობის მშენებლობასურთ, რომელი სამოქმედო მიდგომებია გამართლებული? იმ აუცილებელი გაცნობიერების გარდა, რომ ყველა სოციალური უმრავლესობა, ერთად შეკრებილი, სინამდვილეში ჩვენი საზოგადოების აბსოლუტურ უმრავლესობას წარმოადგენს, კიდევ რა ეთიკური სტრატეგიული არჩევანი გვაძლევს არა მხოლოდ თვითგადარჩენის, არამედ ზრდის და მტრულ გარემოში მშვიდობიანი თანაცხოვრების ყველაზე მეტ შესაძლებლობას?

ამ კითხვებზე პასუხების მოძიებას სახელმძღვანელოს მეორე ნაწილში შევეცდებით, სადაც პროექტის მიმდინარეობისას ჩატარებული კვლევის შედეგებია შეჯამებული სახით წარმოდგენილი.

ნაწილი II.

უმცირესობათა პრობლემები საქართველოში

კვლევის ერთ-ერთი მონაწილე, რომელიც საკუთარ თავს პროტესტანტულ-ბაპტისტურ ეკლესიას მიაკუთვნებს, სკოლაში თავისი გამოცდილების შესახებ გვიყვება. ეს გამოცდილება, მისი თქმით, მას დაეხმარა, გარკვეული დროის განმავლობაში წარმატებით დაემალა საკუთარი რწმენა და ტაქტიკების მრავალფეროვნების წყალობით, უმრავლესობაში გარეუღიყო მანამ, სანამ ის თავს კომფორტულად არ იგრძნობდა და სულიერად არ მოძლიერდებოდა, რომ საკუთარი რწმენის შესახებ თანატოლებისათვის განეცხადებინა.

[სკოლაში] სერიოზული პრობლემა არ შემქმნია, რომ სიძულვილი ან აგრესია ყოფილიყო, მაგრამ როდესაც ურთიერთობას ვიწყებ ადამიანთან, ყოველთვის მაქვს [განცდა], რომ ბოლომდე გახსნილად ვერ ვგრძნობ თავს, იმიტომ რომ ვგრძნობ, რომ მყავს ისეთი მეგობრები რომლებიც არიან ძალიან მაგარი მართლმადიდებლები და ძირითადად მაგათ აქვთ ხოლმე პრობლემები და ურთიერთობა უფრო პრობლემური არის ხოლმე მაგ შემთხვევაში, იმიტომ რომ შეიძლება კამათმდეც მივიდეს [საქმე], იმიტომ რომ ისინი მაინც უფრო სხვანაირად აზროვნებენ. ნუ ისეთი სერიოზული პრობლემა მე არ შემქმნია, არც ის მიჭირს ხოლმე, რომ ვთქვა, რომ ვარ ბაპტისტი, მაგრამ ჯერ მაინც თავიდან ვცდილობ ხოლმე, რომ ადამიანებს შევაცვარო ჩემი საქციელით თავი, რომ არ ვარ ვიღაცა, არც მწვალებელი, არც საოცრება როგორც ვახასიათებენ ხშირად. მე ვფიქრობ რომ პირველ რიგში ვარ ქრისტიანი, მწამს ღმერთი, მამა, ძე, სულიწმინდა. მოკლედ დოგმები და ჩარჩოები ნაკლებად არსებობს ჩემთვის, განსხვავებულობა პირიქით, მომწონს მე და ამ განსხვავებულობაში კარგად ვგრძნობ თავს, მიუხედავად იმისა, რომ შეზღუდვები მაქვს.

მონაწილე აქ შემდეგ აკონკრეტებს, რომ მართალია მისთვის მრავალფეროვნება მისაღებია, მაგრამ ლგბტ ადამიანების ცხოვრების სტილი მიუღებელია. ჩვენი აზრით ეს არის მთლიანად იმ პრობლემის გასაღები, რომელსაც ეს წიგნი ეძღვნება. კერძოდ, როგორც ვხედავთ, ჩაგვრის და გარიყვის გამოცდილება ხშირად თავისთავად საკმარისი არ არის პარალელების გასაღებად საკუთარ ჩაგვრისა და ლგბტ ადამიანების თუ სხვა უმცირესობების მიერ განცდილ ჩაგვრაში მსგავსების შესამჩნევად. ამისთვის, ჩვენს შემთხვევაში რამდენიმე დღის მუშაობა გახდა საჭირო, რომ ამ და სხვა მონაწილეებს ზუსტად დაენახათ ის მსგავსება, რაც მათ და სხვა

უმცირესობების მიერ განცდილ დისკრიმინაციაშია. თუ ამ მიდგომას სოციალურ ჯგუფებზე განვავრცობთ, უნდა ვივარაუდოთ, რომ ამგვარი პარალელების დემონსტრირებისა და ხელშესახები შედეგის მისაღწევად რამდენიმე წელი, ფართო მასშტაბით გაშლილი მუხლჩაუხრელი მუშაობა იქნება საჭირო.

კერძოდ, ჩვენი დაკვირვებით, როგორც შესავალში უკვე აღინიშნა, მნიშვნელოვანია ფოკუს-ჯგუფების თუ ტრენინგების მონაწილეებს საკმარისი სივრცე დაუთმოთ და მივცეთ საშუალება მაქსიმალურად ღიად ისაუბრონ საკუთარ გამოცდილებაზე, ისე რომ სხვა მონაწილეები მათ დადუმებას ვერ ახერხებდნენ (რისი მცდელობაც ყოველთვის არის). როგორც წესი, ყველა ადამიანი, რომელიც ხოლმე ასეთ დროს ემოციურად არის ჩართული და გახსნილი, დარწმუნებულია და მიიჩნევს, რომ სწორედ და მხოლოდ მისი კონკრეტული ტკივილი და გამოცდილებაა ყველაზე უნიკალური და მწვავე.

ემოციური მნიშვნელობის საკითხებზე გამართული შეხვედრების ფასილიტატორის მისია, ჩვენი რჩევითა, ემოციური ფონის იმ საზღვრამდე მიშვებაა, სადაც ადამიანები ერთდროულად გულწრფელები და მოწყვლადები გახდებიან, მაგრამ ამავე დროს ფასილიტატორის მწვავე კონფრონტაციას და ტკივილის შეკიბრებას არ დაუშვებს, რისი მცდელობაც ყოველთვის მონაწილეებს ყოველთვის აქვთ. სწორედ ამ ემოციური დინებების მართვა იძლევა შედეგს და შეხვედრის დასრულების შემდეგ მონაწილეებს ეხმარება იმის გაცნობიერებაში, რომ თითოეული ადამიანის გამოცდილება თანაბრად ღირებული და მტკივნეულია - გეი ახალგაზრდა, რომელიც სკოლაში ბულინგს განიცდიდა, პროტესტანტი მორწმუნე, რომელიც მორცხვად ხრიდა თავს, როდესაც კლასელები მართლმადიდებელ ეკლესიაში წასვლას აიძულებდნენ და ა. შ. ერთი და იგივე ჩაგვრის მექანიზმებით არიან გარიყულნი.

ჩაგვრის ერთგვაროვნების გაცნობიერებამდე კი, პროექტის შეხვედრების მონაწილეებს ჰქონდათ მცდელობა გაეუფერულებინათ ერთმანეთის გამოცდილება. მაგალითად, ისევ პროტესტანტ მონაწილეებს რომ დაუბრუნდეთ, მათ ნაწილს არგუმენტად მოჰყავდათ ბიბლია და ამბობდნენ რომ ლგბტ ადამიანებმა არ უნდა გააღიზიანონ უმრავლესობა თავისი ხილვადობით. ამავე დროს მათთვის სრულიად გასაგები და გულთან ახლოს მისატანი იყო მუსლიმი მონაწილეების ტკივილი, რომლებსაც საჯარო-სარიტუალო თავშეყრის ადგილებში მართლმადიდებელი მრევლის მხრიდან წინააღმდეგობა ხვდება. მხოლოდწამყვანის დაუინებელი მცდელობის შედეგად, რომელმაც ტაქტიკურად შერჩეული კითხვებით მიიყვანა მონაწილეები იმის გაცნობიერებამდე რომ არანაირი ფილოსოფიური და მორალური განსხვავება არაა იმაში, მოხეში ლოცვას დაარბევენ, 17 მაისს რუსთაველზე ლგბტ ადამიანებს თუ იეჰოვას მოწმეებს შეუვარდდებიან სალოცავში და ჯვრებით სცემენ - დაიწყეს მონაწილეებმა გაცნობიერება რომ ყველა მათგანი თანაბრად

არის სიძულვილის იდეოლოგიის მსხვერპლი და ამ უმცირესობებში მოქცეულ ჯგუფებს სინამდვილეში გაცილებით მეტი რამ აერთიანებთ, ვიდრე ჰყოფთ. ამის მიუხედავად, შეხვედრის დასასრულს მაინც რჩებოდნენ მონაწილეები, რომლებიც ამბობდნენ, რომ „ვი... მაგრამ“ თუმცა, სრულიად დარწმუნებულად შეიძლება ითქვას, რომ საკმარისი დროის დათმობის შემთხვევაში (მაგ. ფოკუს ჯგუფები მხოლოდ 2 საათს გრძელდებოდა, ხოლო ტრენინგები 5 დღეს) არ დარჩებოდა მონაწილე, რომელიც იმავე სიძულვილით აღსავსე დატოვებდა შეხვედრის ოთახს, როგორც იცის ის შეხვედრაზე მოვიდა.

მონაწილე აგრძელებს:

„სკოლაში ვერ ვთქვი [ჩემი რწმენის შესახებ], სიმართლე ვითხრათ ვერ ვთქვი, იმიტომ რომ ვიცოდი არ იქნებოდა კარგი რეაქცია, იმიტომ რომ კლასში იყვნენ ისინი ვინც ძალიან სერიოზული მართლმადიდებლები იყვნენ და იმათგან ვიცოდი, რომ არ წამოვიდოდა კარგი დამოკიდებულება, ისევე როგორც მასწავლებლებისგან, ყველა მასწავლებელი არ იყო ისეთი თანამედროვე და ისეთი მოაზროვნე. ძველი ხალხი უფრო ისე ფიქრობს, ჩაკეტილად. თბილისში დავამთავრე სკოლა.“

მკვლევარის შეკითხვაზე - როგორ იძვრენდით თავს სიტუაციიდან თუ კლასელები ეკლესიაში მიდიოდნენ სადაც თქვენ წასვლა არ გასურდათ? - მონაწილე პასუხობს:

იყო შემთხვევები, როდესაც მიდიოდნენ ბავშვები სამებაში ან სხვაგან, იყო შემთხვევები რომ მეც წავსულვარ. მაგრამ ძირითადად ყოველ კვირას დავდივარ ჩემს ეკლესიაში და ვარ აქტიურად ჩართული ამ ამბავში და თავის დაძვრენა... მე ვამბობდი რომ მივდივარ იქ ეკლესიაში ჩემს ოჯახთან ერთად, და ამიტომ უფრო წინ წამოვწევდი ხოლმე ჩემს ოჯახს.“

როგორც ვხედავთ, ოჯახი და ოჯახის მხარდაჭერა განსაკუთრებული ფუნქციების საგანია უმცირესობაში მყოფი ადამიანებისთვის და ოჯახის მოხმობა უარის თქმის მომენტს განსაკუთრებულ სიმყარეს მატებს. ოჯახის მოხმობით, მონაწილე დარწმუნებულია რომ თანატოლები გარკვეულ ბარიერს აღიქვამენ და მის დარღვევას არ მოინდომებენ. მე შენ არ მოგყვები იმიტომ, რომ ჩემს ოჯახთან ერთად მივდივარ სალოცავად, გულისხმობს მონაწილე და ამ დროს, მეორე მხარეს მდგომ თუნდაც უმრავლესობას აღარ უჩნდება მოტივაცია და სურვილი მას ჩაეძიოს - რომელ ეკლესიაში დადის ის და მისი ოჯახი. თუმცა, სამწუხაროდ ამგვარი ფსიქოლოგიური კომფორტი ყველა უმცირესობისათვის ხელმისაწვდომი არ არის. მაგალითად, ქართველ ლგბტ ახალგაზრდებს ამ

ფსიქოლოგიური კომფორტის ფუნქციონირება თითქმის არ გააჩნიათ. ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების წარმომადგენელი ახალგაზრდები კი ხშირად გადარჩენის და ფეხზე წამოდგომის ძალას პირველ რიგში სწორედ ოჯახურ გარემოში პოულობენ. ლგბტ ადამიანებისგან განსხვავებით, მათ სახლში, როგორც წესი, არ უწევთ იმის დამალვა რომ მართლმადიდებლურ ეკლესიას არ მიეკუთვნებიან.

ეთნიკური ჯგუფის შემთხვევაში ეს პრობლემა საერთოდ არ არსებობს. ამიტომ, იქ სადაც ადამიანს თავისუფლად შეუძლია ოჯახურ გარემოში მოყვეს რომ საკუთარი რწმენის/გარეგნობის/ეთნიკური ნიშნების გამო სკოლაში ბულინგის მსხვერპლი გახდა, გაცილებით დიდია ალბათობა რომ განცდილი გამოცდილება დამთრგუნველ სტრესის ფაქტორად არ გადაიქცევეს, რომ ოჯახი შეძლებს პრობლემაზე რეაგირებას, სკოლის ადმინისტრაციისადმი, პოლიციისადმი, მოძალადის ოჯახისადმი და ა. შ. მიმართვას ან სულ მცირე, მსხვერპლისათვის რჩევას მაინც გაიღებენ.

მთლიანობაში, მხარდაჭერის ამ ქსელების არსებობას, თემისადმი მიკუთვნებულობის განცდას და რჩევებს, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჯანსაღი ფსიქოლოგიური განწყობისა და თვითშეფასების შენარჩუნებისათვის. სამომავლოდ ამან უკეთესი შედეგები უნდა აჩვენოს ვიდრე ეს ლგბტ ადამიანთა შემთხვევაშია, რომლებიც სკოლის პერიოდში განცდილ დისკრიმინაციას როგორც წესი ყოველგვარი სათემო/საოჯახო/ პროფესიონალური მხარდაჭერის გარეშე, ფსიქოლოგიურად და მორალურად იზოლირებულნი გაატარებენ. ეს კი დამატებით ნეგატიური გავლენას იქონიებს მათ აკადემიურ მოსწრებაზე, ემოციურ ფონზე, ფსიქოლოგიურ კეთილდღეობაზე და სულიერ სიძლიერებზე.

კითხვაზე - არ გეკითხებოდნენ მოძღვარი გყავს თუ არა? - მონაწილე პასუხობს:

კი, ეგ უკითხავთ, ეგ ძალიან ისეთი იყო. მითუმეტეს ვარ ხატმწერი და ამას როდესაც გაიგებენ გონიათ რომ სერიოზული მართლმადიდებელი ვარ და ვაიმე, მამაო და მოწიწებით არიან ჩემთან, რომ სერიოზული მართლმადიდებელი ვარ. მამაო არასდროს არ მითქვამს რომ მყავს, იმიტომ რომ სახარებაშიც წერია რომ შუამავალი არის ქრისტე და მე უფრო გახსნილად ვარ და ჩემს ცოდვებს უფრო ვინანიებ ღმერთთან, ვიდრე ის რომ მივიღე მამაოსთან და მამაოს ჩავაბარო აღსარება. (წამყვანი_ შეიძლება ვერც იაზრებდნენ რომელ ეკლესიას მიეკუთვნებოდით, არა?) - ნუ არის ახლა კატეგორია მართლმადიდებლების ვისაც ისედაც არ ყავს მამაო. მამაჩემი მართლმადიდებელია, დადის ჩვეულებრივად ეკლესიაში, მაგრამ არ აქვს პრობლემა რომ დედაჩემმა და შვილებმა ვიაროთ იქ.“ - ასრულებს მონაწილე.

უმცირესობათა და უმცირესობებისთვის მუშაობა

უმცირესობებთან და უმცირესობებისთვის მუშაობის ისტორია, საუკეთესო შემთხვევაში შეიძლება დახასიათდეს, როგორც ამბივალენტური პროცესი. მაგალითად, ლგბტ საკითხებთან დაკავშირებული საპოლიტიკო განაცხადი საქართველოში არ არსებობს. საქსუალური ორიენტაციის ნიადაგზე დისკრიმინაციის აკრძალვის მნიშვნელობაც კი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის ნაწილი 2014 წელს გახდა, მუდმივად ხვდება გამძაფრებულ წინააღმდეგობებს გავლენიანი და აგრესიული რელიგიური და პოლიტიკური ჯგუფების მხრიდან.

არადისკრიმინაციული განაცხადების რეალობაში გატარების მხრივ, სათანადო რესურსების გამოყოფის საქმეში, საქართველო მნიშვნელოვნად მოიკოჭლებს. საგანმანათლებლო აკრედიტაციის სტანდარტები სკოლებში ლგბტ ადამიანთა მომსახურების მოთხოვნილებების შესახებ არაფერს ამბობს. არც სოციალური სამუშაოს თუ ფსიქოლოგიის პროფესიების საფუძვლების საბაზო კურსის სასწავლო გეგმაში სათანადო მასალების ჩართვა არის სავალდებულოდ მოთხოვნილი.

ზოგიერთი რელიგიისადმი მიკუთვნებულ ორგანიზაციათა მოთხოვნით, მუდმივად ჟღერდება ინიციატივები, რომ ლგბტ საკითხებზე საგანმანათლებლო მუშაობა მოზარდებზე მანვე ზეგავლენად და პროპაგანდად გამოცხადდეს, ხოლო ასეთი სახის მუშაობა კრიმინალიზებული გახდეს.

პოლიტიკური და რელიგიური ჯგუფების წარმომადგენელთა მხრიდან ამგვარი მცდელობები აჩვენებს სურვილის ნაკლებობას, რომ საქართველოში გეი და ლესბოსელი ადამიანების სრული და თანაბარი უფლება იყოს დაცული, სასწავლო პროგრამებში მათი საკითხების ჩართულობა და მათ შესახებ გაწონასწორებული შეხედულებების ჩამოყალიბება იყოს შესაძლებელი.

ინკლუზიური პოლიტიკის საჭიროება და მოთხოვნები პროფესიული საგანმანათლებლო პრაქტიკის დისკრიმინაციისგან თავისუფლებას მოითხოვს. პირადი დამოკიდებულებების პროფესიული მოთხოვნებისგან გამოცალკევება კი შინაგანად რთულია. ამ შინაგანმა სირთულემ, იქ სადაც საქმე ლგბტ ადამიანთა მიმართ პატივისცემას ეხება, ამ მოსახლეობის მომსახურების უზრუნველყოფა რთულ პროცესად აქცია. ყველაზე პროფესიულ გარემოშიც კი, გეი, ლესბოსელი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი იდენტობა ისტორიულად სადისკუსიოდ ტაბუირებულ საკითხად რჩება.

იმ ადამიანთა ჯგუფები, რომლებსაც ჩაგრავენ და ამცირებენ, მოწყვლადი და სტერეოტიპიზებული არიან, მათ შესახებ მითების კვლავწარმოება ხდება. იშვიათობას არც სხვა სახის უარყოფითი ინფორმაციის გავრცელებაც

წარმოადგენს. ამ მცდარი ინფორმაციის გავრცელების სათავე ჰეტეროცენტრიზმი, რასიზმი, ეთნოცენტრიზმი, ეიჯიზმი, სექსიზმი, ეიბლიზმი და კიდევ სხვა მრავალი „იზმი“, რომლის განმარტებაც ამ სახელმძღვანელოს დასაწყისშია მოტანილი. ამ „იზმების“ ზეგავლენის შედეგად, ის პირები, რომლებიც დაჩაგრულ ჯგუფებს მიეკუთვნებიან, შესაძლოა თავადვე იზიარებდნენ ან იშინაგანებდნენ მათი ჯგუფების შესახებ გავრცელებულ უარყოფით ცრურწმენებს. ამის გამო, ეს ადამიანები სავარაუდოა რომ იტანჯებოდნენ იმით, რასაც ფსიქოლოგები საკუთარი თავისა და სხვებისგან მომავალ “გაორმაგებულ ჩაგვრას” უწოდებენ.

რას გულისხმობს გაორმაგებული ჩაგვრა? სტიგმა, ცრურწმენა და ჩაგვრა სტრესულ საზოგადოებრივ გარემოს აყალიბებს, რასაც შეუძლია ჯანმრთელობის რამდენიმე პრობლემა გამოიწვიოს იმ ადამიანებში, რომლებიც უმცირესობათა ჯგუფებს მიეკუთვნებიან.

სოციალურ მეცნიერებაში ჩამოყალიბდა ტერმინი, რომელსაც **უმცირესობის სტრესი** უწოდეს. უმცირესობის სტრესი ის ცნებაა, რომლის გამოყენება მკვლევართა მზარდმა ნაწილმა სტიგმატიზაციის მიერ ჯანმრთელობაზე გამოწვეული უარყოფითი გავლენების გამოსარკვევად დაიწყო.

უმცირესობებს მიკუთვნებულ პოპულაციაში უმცირესობის სტრესი გამოთვნივი მიზეზები:

1. (ა) გარეგანი, ობიექტური ტრამპული მოვლენა, მაგალითად ისეთი, როგორცაა ფიზიკურად თავდასხმა ან სკოლიდან იძულებით გადასვლა, სამსახურიდან გაგდება და ა. შ.;
2. (ბ) სხვებთან ურთიერთობაში მუდამ თავდასხმის მოლოდინი და საპასუხოდ, მუდმივად გაღიზიანებულ მდგომარეობაში ყოფნა;
3. (გ) უარყოფითი საზოგადოებრივი დამოკიდებულებების გაშინაგანება (კონკრეტულად ლგბტ ჯგუფთან მიმართებით, ეს მდგომარეობა ასევე ცნობილია გაშინაგანებული ჰომოფობიის, ტრანსფობიის ან ბიფობიის სახელით); და
4. (დ) ეთნიკური წარმოშობის, რელიგიური მრწამსის, გენდერული იდენტობის ან/და სექსუალური ორიენტაციის დამალვა სირცხვილის ან დანაშაულის გრძობის ან მოსალოდნელი ზიანის მოყენებისგან თავის დაცვის მიზნით.

ჩამოთვლილთაგან რომელი პროცესიც არ უნდა მიმდინარეობდეს პიროვნების გარშემო, უმცირესობის სტრესი იწვევს გაუცხოებას, თემთან ერთიანობის რღვევას და საკუთარი თავის მიმართ დადაბლებულ მიმდებლობას. დამატებით, კვლევები აჩვენებს, რომ გაშინაგანებული ჰომოფობია / ბიფობია

კავშირშია თვით-დაზიანების სხვადასხვა ფორმებთან; მათ შორისა: კვების რეჟიმის დარღვევები, მაღალი რისკის მატარებელი სქესობრივი ქცევა, ნივთიერებებზე დამოკიდებულების ქცევის განვითარება და თვითმკვლელობა. მსგავსი ასოციაციები მიეყენება ტრანსფობიის შემთხვევასაც.

სოციალურ უმცირესობაში მოქცეული ადამიანები პიროვნული შეგუების სტრატეგიათა მთელ სპექტრს იყენებენ. ამის მიზეზია სურვილი: როგორმე დაძლიონ საზოგადოებრივი დამოკიდებულებებისა და მათი მრავალფეროვანი გამოვლინებების მიერ გამოწვეული სტრესის ეფექტი. მრავალი დანაზრული ადამიანი დროთა განმავლობაში მართლაც ახერხებს წარმატებით განივითაროს თვით-გადარჩენის გაძლიერებული მექანიზმები. ამ პროცესში გადამწყვეტი ჯგუფური და საზოგადოებრივი სტრუქტურების როლია.

მაგალითად, მხარდაჭერის გამომხატველ სათემო ორგანიზაციებთან დაკავშირებულობა ლგბტ ადამიანებს შესაძლებლობას აძლევს ისეთ საზოგადოებრივი გარემოში მიიღონ გამოცდილებები, სადაც მათი სტიგმატიზება ნაკლებად მოხდება. აქ ისინი შედარებით უკეთ ახერხებენ მსგავს ადამიანებთან და არადომინანტური კულტურის წარმომადგენელ ადამიანებთან შედარებით შეაფასონ საკუთარი თავი. ასევე, რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლები განსაკუთრებით ხშირად აღნიშნავენ რამხელა მნიშვნელობა ენიჭებოდა მათი პიროვნების განვითარების ადრეულ (სასკოლო) ეტაპზე რელიგიური თავშეყრის ადგილებს და იმ სოციალურ ვალიდაციას, რომელსაც ისინი იქ იძენდნენ.

“რამდენ გეი ადამიანს იცნობთ საქართველოში?” ეს კითხვა რიტორიკულია. რამდენად კარგად არიან ის პროფესიონალები და განმანათლებლები, ვისაც ლგბტ ახალგაზრდებთან მუშაობა დასჭირდება, მომზადებული საკურსო და საველე სამუშაოში? ვის შეუძლია მომავალში იმუშაოს ლესბოსელ ქალებთან და გეი კაცებთან, რომ აღარაფერი ვთქვათ ბისექსუალ და ტრანსგენდერ ადამიანებზე რომლებიც სკოლაში და საკუთარ საცხოვრებელ გარემოში ძალადობის და ჩაგვრის, ბულინგის და დისკრიმინაციის მსხვერპლები არიან? ამის პასუხი ის არის, რომ მნიშვნელოვანია განმანათლებლები, სოციალური მუშაკები, ფსიქოლოგები და სხვა პროფესიონალები დროულად იყვნენ გათვითცნობიერებულნი ასეთ მოწყვლად ჯგუფთან მუშაობისთვის. პირველ რიგში, ფორმალური განათლების მიღების დროს, მნიშვნელოვანია ისეთი კურსის შემუშავება, რომელიც ლგბტ ადამიანთა საჭიროებებზე გააფართოებდა სტუდენტების ცოდნას; საკურსო მუშაობის პერიოდში, აუცილებელია ლექტორებმა სტუდენტებს ამ თემატიკის შემცველი საკითხავი ტექსტები გაუზიარონ. ამავე დროს, ღიაობა და ხილვადობა მნიშვნელოვანია.

სტუდენტები, რომლებსაც თუნდაც ერთადერთი პრაქტიკული შეხება მხოლოდ თავის ღიად გეი პროფესორებთან ან თანაკურსელებთან გააჩნიათ,

გაცილებით მეტი ექნებათ პროფესიული წვრთნის პორტფელში ცოდნა, ვიდრე მათ, რომლებსაც არც საველე და არც თეორიული მუშაობის დროს ლგბტ ჯგუფების წარმომადგენელი არასდროს უნახავთ. კატეგორიულად არასაკმარისი და ასევე არათეორიულია, რომ სტუდენტს ამ ჯგუფის საჭიროებათა საბაზისო ცოდნის გარეშე საგანმანათლებლო კურსის დასრულების ნება დავრთოთ, რადგან ლგბტ ახალგაზრდებს და მათ პრობლემებს დამხმარე პროფესიონალები მუდმივად წააწყდებიან ბავშვთა სახლებში, პენიტენციურ დაწესებულებებში, სკოლებში, სათემო ორგანიზაციებში მუშაობის დროს.

სტუდენტებმა აუცილებლად უნდა იცოდნენ, რომ უცილობლად გადაეყრებიან პროფესიულ ცხოვრებაში ამ სახის ადამიანებს. რა ტიპის პრაქტიკით უნდა დაკავდნენ სტუდენტები და თანასწორთა მომავალი განმანათლებლები, მასწავლებლები და მომავალი სოციალური მუშაკები მათ დასახმარებლად? უდავოდ, არსებობს აუცილებლობა, რომ საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურზე მყოფი სტუდენტები უკეთ მოვამზადოთ მრავალფეროვან სამყაროში პრაქტიკული მუშაობისთვის. იმის გარდა, რომ ეს პრაქტიკის დილემაა და ამიტომაც მნიშვნელოვანი საკითხია, ეს გამოცდილება თანამედროვე საზოგადოებაში ლგბტ ადამიანების შესახებ არსებულ კიდევ ერთ მნიშვნელოვან სიმართლესაც წარმოაჩინოს, რომ ადამიანთა უმრავლესობას მცირე და დაუმუსტებელი ცოდნა აქვს მოსახლეობის ამ ნაწილის შესახებ.

საბედნიეროდ, განვლილი ათწლეულის განმავლობაში, ლგბტ ჯგუფებთან მუშაობის პრაქტიკისთვის მომზადებაში მნიშვნელოვან ცვლილებებსაც ჰქონდა ადგილი საქართველოში. განვლილი წლების განმავლობაში ადგილზე დაგროვილმა ცოდნამ საშუალება მისცა დამხმარე პროფესიონალებსა და განმანათლებლებს, პირველად შეეხედათ ამ სამყაროში და ის საბაზისო ცოდნა შეეძინათ, რომელიც სამომავლოდ ამ სოციალურად გარიყულ ჯგუფთან მუშაობისთვის პრაქტიკას დაუდებს სათავეს.

ნაწილი III.

რეკომენდაციები მშვიდობიანი თანაცხოვრების უზრუნველყოფისათვის

სოციალურად გარიყულ და რისკის ქვეშ მყოფ თემებთან და ადამიანებთან სამუშაოდ, მათი გაძლიერებისა და რეაბილიტაციის პროცესში ყველაზე ეფექტურად მიიჩნევა ეკოლოგიური მიდგომა, რომელზეც ეს სახელმძღვანელოა დაფუძნებული. ეკოლოგიური მიდგომის სიძლიერე მის ხედვაში მდგომარეობს. ეს არის „პიროვნება: გარემოში პერსპექტივა“, რომელიც 1990-იან წლებში შეერთებულ შტატებში შემუშავდა და რომელიც ამ ტექსტშია გამოყენებული. ეკოლოგიური მიდგომა არის მოწყვლად ჯგუფებთან პრაქტიკის განმსაზღვრელი ჩარჩო, რომელიც ხაზს უსვამს უფლებების შელახვის და ზეწოლის საფრთხეს, რაც ემუქრება ჩაგრული ლგბტ ადამიანების, ქალების, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების ჯანმრთელობას, საზოგადოებრივ კეთილდღეობასა და ცხოვრებას. სოციალური წნეხი, განსაკუთრებით ლგბტ ადამიანებში, ადაპტირების უზარმაზარ წნეხს აწესებს. ლგბტ ადამიანებსა და უპირატესად, ჰეტეროცენტრულ გარემოს შორის, რომელიც დიდად არც ქალებს წყალობს, არსებობს დამანგრეველი ურთიერთობები. მათი გაგება უმნიშვნელოვანესია ლგბტ ადამიანებთან, როგორც კლიენტებთან/სტუდენტებთან/პაციენტებთან მუშაობისას პრაქტიკული ცოდნის განსავითარებლად, ქმედითობის განსასაზღვრად და აღსაწერად.

განმანათლებლის და დამხმარე პროფესიონალის პროფესიის ცოდნის ბაზას საზღვრებს უწესებს ის ფაქტორი, თუ რისი გავლენა ევალება სოციალურ მუშაკს, ფსიქოლოგს, მასწავლებელსა თუ თანასწორთა განმანათლებელს. მაგალითად, თუ ფსიქოლოგისგან/ სოციალურ მუშაკისგან მოელიან ლესბოსელ ქალებთან, გეი კაცებთან, ბისექსუალ და ტრანსგენდერ ადამიანებთან მუშაობის უნარებს, ამ შემთხვევაში პრაქტიკის ცოდნის ბაზაც ამ ჩარჩოებში უნდა იყოს მოქცეული. ცოდნის ორგანიზებული ბაზა გადამწყვეტია ნებისმიერი პროფესიისათვის და ამ საქმეში ნებისმიერი ადამიანის ჩართვა შეიძლება, მაგრამ, ნებისმიერი ადამიანებისგან განსხვავებით, რომლებიც მოწყვლად ჯგუფებთან მუშაობას განიზრახავენ, პროფესიონალისგან მოელიან, რომ ის მოქცევა გამიზნულად; მხოლოდ იმ ნაბიჯებს გადადგამს, რაც ყველაზე მეტი ალბათობით იქნება სასარგებლო; ყველაზე ნაკლებად იქნება გარედან თავს მოხვევულ გავლენებს დამორჩილებული და ყველაზე მდგრადი იქნება ადამიანის კეთილდღეობის შენარჩუნების საქმეში. ამიტომ, გააზრებული გადაწყვეტილების მიღება და ამ სახის არჩევანის გაკეთება ცოდნის გაფართოებულ ბაზას მოითხოვს.

რა არის ცოდნის წყარო და როგორ იქმნება ცოდნის გაფართოებული ბაზა? საიდან ვიცით ის რაც უნდა ვიცოდეთ მოწყვლად ჯგუფებთან მუშაობისას? ცოდნას გააჩნია

საკვანძო წყაროები, რომლებიც მოწყვლად ჯგუფებთან პრაქტიკული მუშაობისთვის ცოდნის ჩარჩოს განსაზღვრავს. ესენია:

1. პრაქტიკული გამოცდილება, რომელიც საგანმანათლებლო, ფსიქოლოგიის, სოციალური სამუშაოს პროფესიებისა და ამ სფეროებში მომუშავე პროფესიონალი კოლეგებისაგან მიღებული ნარატივებით შეგვიძლია შევიძინოთ;
2. პრაქტიკოსი მასწავლებლების, აქტივისტების, განმანათლებლების, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სფეროში მომუშავე ექიმების, სასულიერო ლიდერების და სხვათა პირადი გამოცდილებების გაზიარება გასაუბრების და მათი ანგარიშების გაცნობით;
3. პროფესიული ლიტერატურიდან მიღებული ცოდნა;
4. ეთნიკური, რელიგიური, გენდერული საკითხების და სხვადასხვა სათემო მოძრაობების ისტორიისა და მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციის ფლობა;
5. პრაქტიკისთვის პოტენციურად გავლენის მომხდენ (თვისებრივ და რაოდენობრივ) კვლევებზე ინფორმაციის ფლობა;
6. თეორიული და კონცეპტუალური ანალიზის ჩატარება (კვლევის დაგეგმვა, თეორიული ანალიზი, კითხვარები და შედარება, შედარებითი ანალიზი, ანთროპოლოგიური ანალიზი და ა. შ.)
7. ქეისებიდან/შემთხვევიდან აღებული ინფორმაცია და სამხილების/მტკიცებულებების გაანალიზება.

ყველა ეს პუნქტი გააზრებულია „ადამიანი გარემოსთან მიმართებაში“ პერსპექტივით და ამავე დროს, გარიყული ჯგუფების წარმომადგენელი ახალგაზრდების მიერ ცხოვრებაში განცდილი ჩაგრვის შესახებ რეალური ინფორმაციის ცოდნით, რაც იმისთვის არის საჭირო, რომ ამ ადამიანებთან სოციალური და საგანმანათლებლო სამუშაო პრაქტიკა სათანადო ინფორმირებულობას ეფუძნებოდეს. ცოდნის თითოეული წყარო ამ პოპულაციასთან სამუშაოდ ცოდნის გაღრმავებაში გვეხმარება.

პრაქტიკული გამოცდილებიდან გამომდინარეობს ცოდნა, რომელიც პროფესიაში ნარატიული გამოცდილებიდან მივიღეთ, მათ შორის, პროფესიონალი კოლეგების, ბენეფიციარებისა და კლიენტებისგან.

ნარატიული თეორიის მიმართ ინტერესი უკანასკნელ წლებში განსაკუთრებით გაიზარდა. ცხოვრებისეული ისტორიების პროფესიულ პრაქტიკაში გამოყენებამ მრავალ ორგანიზაციაში ფორმალიზებული, დაწვრილებითი ანკეტირებით მიღებული გამოცდილების შესწავლის პრაქტიკაც ჩაანაცვლა. დეტალებით მდიდარი ცხოვრებისეული ისტორიები, როგორც წესი, კლიენტებთან მუშაობის პროცესში ხდება ხელმისაწვდომი და შესაძლოა, ნაყოფიერ ინსტრუმენტად იქცეს. ის მნიშვნელოვანია არა მნიშვნელოვან მონაცემთა შესაგროვებლად, რომელიც ჩვენი ცოდნის ბაზას გაამდიდრებს, არამედ ბენეფიციარებთან ნდობასა და ურთიერთმიმართებაზე დაფუძნებულ ურთიერთობათა განვითარებისთვის. როდესაც მოყოლა-მოსმენის პროცესში განმანათლებელი, ფსიქოლოგი თუ სოციალური მუშაკი კლიენტს ემპათიურად უსმენს, მონათხრობი უკვე პირად და კულტურულ მნიშვნელობებს იძენს. ეს პროცესი, განსაკუთრებით ლგბტ პირებში, რომლებსაც ჩავგვისა და გარიყულობის უხვი გამოცდილება აქვთ, რეაბილიტაციის პროცესადაც შეიძლება იქცეს. ეს არის, როგორც ჯერმანი და ჯიტერმანი ამბობენ (Germain and Gitterman, 1996, გვ. 145), “ცხოვრებისეული მოვლენების აღქმის ჩვენეული, ადამიანური გზები, ჩვენზე თუ სხვისი ცხოვრებისეულ გამოცდილებათა ახსნის გზა, რაც მუდმივი წინსვლის საშუალებას გვაძლევს”.

ინგლისურენოვან ლიტერატურაში ხელმისაწვდომია პირადი მონათხრობების გამოყენების ბრწყინვალე მაგალითები, რომლებიც პრაქტიკული მუშაობისათვის ადგილობრივი ცოდნის გაძლიერების საორიენტაციო საშუალებებად შეიძლება გამოვიყენოთ. მაგალითად, მარკოვიცმა (Markowitz 1991a) შესანიშნავად მოგვითხრო ლესბოსელი გოგონასა და მისი მამის ამდღევანელი ისტორია, ერთმანეთის ახლებური გაგების, ახლებური შეცნობის საკმაოდ რთული მცდელობის შესახებ; ეს პირადი მონათხრობის თითქმის სრულყოფილი მაგალითია, რომელსაც პრაქტიკული სამუშაოს ცოდნის ბაზაზე გავლენის მოხდენა შეუძლია. რას ნიშნავს ეს მეთოდი? იმის გარდა, რომ კლიენტთა ცხოვრებისეულ ისტორიებს მოვუსმინოთ და ასევე შევიტყუოთ დისკრიმინირებულ ადამიანებთან მომუშავე პრაქტიკოსების რეალური გამოცდილებების შესახებ, დასაყრდენი შეიძლება გამოცდილი პრაქტიკოსების მიერ შემუშავებულ წესებშიც მოვიძიოთ. ეს არის ე. წ. ევრისტიკული პრაქტიკა. ევრისტიკული პრაქტიკა ეწოდება ისეთ საქმიანობას, რომელიც პროფესიული ქცევის სახელმძღვანელო პრინციპების ერთობლიობას აღწერს. ევრისტიკული მიდგომა არსებული პრაქტიკის გამოკვეთასა და გადაფასებაში გამოიყენება. მისი გამოყენება ასევე შეგვიძლია სხვა განმანათლებელთა/მუშაკთათვის მოდელის შესათავაზებლადაც.

პრაქტიკის ჩამოსაყალიბებლად, ჯგუფისთვის სპეციფიკური ენის ათვისება და სხვადასხვა რელიგიური თუ ეთნიკური უმცირესობებისა თუ ლგბტ

ადამიანთა შესახებ მიტებისა და სტერეოტიპების ცოდნა, ევრისტიკული პრაქტიკის განსაკუთრებით სასარგებლო ფორმები შეიძლება გახდეს. ამ ტექსტში, დანტერესებული მკითხველი შეიძლება გაეცნოს ნაშრომში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებასა და უმცირესობათა შესახებ ყველაზე ხშირად გავრცელებული მიტების რამდენიმე ილუსტრაციას რომელიც კვლევის პროცესში მონაწილეებმა დაასახელეს. პრაქტიკული ცოდნის ეს ფრაგმენტები ამ ადამიანებთან მუშაობით დანტერესებულ პრაქტიკოსთა განათლების ბაზის გაძლიერების საქმეში შესაძლოა ღირებულ სახელმძღვანელო პრინციპებად იქცეს.

გავლენის თვალსაზრისით მეორე პირობაა პრაქტიკოსთა პირადი გამოცდილება, რომელსაც ცოდნის განვითარება შეუძლია. ადამიანები, ვინც მოწყვლად ჯგუფებთან მუშაობენ, ხელმძღვანელობენ არა მხოლოდ პირადი გამოცდილებებით, არამედ პროფესიული ეთიკური კოდექსითაც. მაგალითად, სოციალურ მუშაკთა უმრავლესობა კლიენტთა შესახებ საკუთარი ცოდნის ნაწილს ცხოვრების განმავლობაში მიღებულ გამოცდილებათა თუ საკუთარ თავს გადამხდარ მოვლენათა ინტეგრირებასა და სინთეზზე აფუძნებს. ამ პროფესიის ეთიკური კოდექსის მიერ შემოთავაზებული სახელმძღვანელო პრინციპებში კი მოცემულია საბაზისო ინტერპრეტაციული და პრობლემათა გადაჭრის უნარები, რასაც სოციალური მუშაკები თავიანთი მუშაობის მანძილზე შეიმუშავენ. ეს ინფორმირებული პრაქტიკისათვის მნიშვნელოვანი საშუალებებია. მსგავს შესაძლებლობას იძლევა მასწავლებელთა პროფესიული სტანდარტები, ფსიქოლოგთა პროფესიული გაერთიანებების წესდება და სახელმძღვანელო პრინციპები და ა. შ.

საგანმანათლებლო და პროფესიულ წრეებში არსებობს მითი, თითქოს ადამიანთა უმრავლესობა არ იცნობს არც ერთ გეი, ლესბოსელ, ბისექსუალ ან ტრანსგენდერ ადამიანს. თითქოს ყველა ეთნიკურად ქართველია, ყველა ფიზიკურად უნაკლო და არავინ მიეკუთვნება არცერთ რელიგიურ ჯგუფს, გარდა ქრისტიანობის მართლმადიდებლური განშტოებისა. არადა უდავოა, რომ მაგალითად სოციალურ მუშაკებს, რომლებსაც ღიად გეი, ლესბოსელი, ბისექსუალი ან ტრანსგენდერი მეგობარი ან ოჯახის წევრი ჰყავთ, დამატებით პირად გამოცდილებასაც ფლობენ და ეს მათ ამ სოციალურ ჯგუფთან პრაქტიკის განხორციელებაში ეხმარება. ამას გარდა, განმანათლებლები, ფსიქოლოგები ან სოციალური მუშაკები, რომლებიც თავადაც არიან გეი, ლესბოსელი, ბისექსუალი ან ტრანსგენდერი თემის, რელიგიური თუ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები, უდავოდ დიდ ინფორმაციას ფლობენ სოციალურად გარიყული ბენეფიციარების/მოსწავლეების შესახებ.

რომელიმე რელიგიური უმცირესობის წევრად, გეი კაცად, ლესბოსელ ქალად, ბისექსუალ ან ტრანსგენდერ ადამიანად ყოფნა პრაქტიკოსსა და

განმანათლებელს უმცირესობებთან საგანმანათლებლო პრაქტიკისათვის ამომწურავ ცოდნას არ აძლევს. პრაქტიკოსები, რომლებიც გვი, ლესბოსელი, ბისექსუალი ან ტრანსგენდერი პირები არიან, შეიძლება საკუთარი სექსუალური თუ გენდერული იდენტობის განვითარების განსხვავებულ საფეხურებზე იმყოფებოდნენ და საუკეთესო შემთხვევაშიც კი, მათი ცოდნა მხოლოდ არასრული შეიძლება იყოს. ასევე, რელიგიური მიმდებლობის დადებითი ან უარყოფითი გამოცდილება ერთ გეოგრაფიულ ლოკაციაზე ან ერთ კონკრეტულ თემში, შესაძლოა არარელევანტური ან სხვაგვარად გამოუსადეგარი იყოს იგივე თემის წარმომადგენელი ადამიანისათვის.

პრაქტიკოსმა განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს შემთხვევაზე საკუთარი გამოცდილების ან იდენტობის იმგვარად მიყენებისგან, რომელიც ბენეფიციარისთვის დადასტურებულად სიკეთის მომტანი არ იქნება.

საკუთარი თავის შესახებ (საკუთარი ეთნიკური წარმომავლობის/რელიგიური მრწამსის/გენდერული იდენტობის თუ სექსუალური ორიენტაციის) გამხელის საკითხები მნიშვნელოვანი ხდება იმ დროს, როდესაც სოციალურ მუშაკს/განმანათლებელს პირადი გამოცდილებები ჰქონდა, ან ისეთ კლიენტთან რაიმე აქვს გაზიარებული, მაგალითად, გარკვეული სახის გამოცდილება, ან ამ შემთხვევაში, თუნდაც ლგბტ იდენტობა აქვს მასთან საერთო.

გვი, ლესბოსელი, ბისექსუალი ან ტრანსგენდერი პრაქტიკოსისთვის, შესაძლოა სასარგებლო აღმოჩნდეს თავისი სექსუალური ორიენტაციის კლიენტისათვის გამხელა, რომელიც თავის მხრივ, სექსუალური ორიენტაციის აღიარების გაცხადების დილემის წინაშე დგას; მაგრამ, ზოგ შემთხვევაში, მუშაკის მიერ კლიენტისთვის ამის გამხელა ამ უკანასკნელს გულწრფელად გულის გადაშლის შესაძლებლობას შეუზღუდავდა.

მიუხედავად იმისა, რომ თვითგამოხატვა, გამხელა მრავალ შემთხვევაში შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს და პრაქტიკოსები ამ მეთოდს უფრო მეტად იყენებენ კიდევ, ვიდრე წარსულში მოღვაწე პრაქტიკოსები, განმანათლებლებს/სოციალურ მუშაკებს, სხვა თუ არაფერი, ამ საკითხებთან დაკავშირებით, ზედმიწევნითი კონტროლი და დამატებითი კონსულტაციები მაინც მოეთხოვებათ. მართალია, პირადი გამოცდილებები ცოდნის განვითარების გასაღებია, განმანათლებლები/დამხმარე პროფესიონალები მუდმივად კავშირში უნდა რჩებოდნენ საკუთარ გრძნობებთან და უნდა ახსოვდეთ, რომ გამხელის მიზანია კეთილდღეობის მოტანა უპირველესად სტუდენტისთვის/ბენეფიციარისთვის და არა თავად ამ პრაქტიკოსისთვის.

უმცირესობებთან მუშაობის პრაქტიკა ცხოვრების ფართო, ზოგად ასპექტებზეა მყარად დაფუძნებული. სხვა სიტყვებით, ეს სოციალური

პოლიტიკისა და ცვალებადი სოციალური ძალების შესახებ არსებული სამუშაო ცოდნაა. მაგალითად, მედია ინფორმაციის მნიშვნელოვანი წყაროა, რადგან ისტორიული მოვლენების დოკუმენტირება, როგორც წესი, გაზეთების, სატელევიზიო სიახლეების, რეპორტაჟებისა და ყოველკვირეული და ყოველთვიური ჟურნალების, ასევე ინტერნეტ მედია გამოცემების მეშვეობით ხდება. სატელევიზიო თოქ-შოუები და სიახლეებზე ორიენტირებული ჟურნალები ხშირად არცთუ ისე მიუკერძოებლები არიან. მეტიც - უმეტესწილად ისინი მცდარი და გადაუმოწმებელი ინფორმაციის გავრცელებით არიან დაკავებული; და ამის მიუხედავად, ბევრისთვის ეს მედიები ლგბტ ადამიანთა, რელიგიური თუ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების შესახებ ინფორმაციის მისაღებად ერთადერთ წყაროდ რჩება და პროფესიულ კონტექსტში მუშაობის დროსაც კი, საბაზისო ცოდნის შექმნის უცილობელ წინაპირობას წარმოადგენს.

მედიის მიერ რელიგიური მრავალფეროვნებისა თუ ლგბტ საკითხების იატაკქვეშეთიდან დღის სინათლეზე გამოტანამ ეს თემები მილიონობით ადამიანის ოჯახში განხილვის მთავარ თემად აქცია 2012 და 2013 წლების 17 მაისის, მოხეს, აჭარაში მუსლიმური სალოცავის და სხვა თემების გააქტიურების შედეგად.

მედიის მიერ გამოტანილი თემატიკა მრავალფეროვანია: გვი და ლესბოსელი ადამიანების ერთხელ უკვე აკრძალული დაქორწინების დამატებით აკრძალვის საკითხები და საკონსტიტუციო ცვლილებები, ტრანსგენდერი ადამიანების განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი მკვლელობები და გამოუძიებელი საქმეები, ერთი და იმავე სქესის მქონე წყვილთა შშობლობის საკითხები და მითები, იეჰოვას მოწმეთა შეკრებების დარბევები, ქართველი მუსლიმებისთვის სალოცავი ადგილების წართმევა და დაპირისპირება მართლმადიდებელი თემის მხრიდან, რაც მუსლიმი უმცირესობების უფლებების შელახვით სრულდება, ქალთა ბრძოლა ეკონომიკური და პოლიტიკურ თანასწორობისათვის და ფემიციდის მზარდი სტატისტიკა, გვი უფლებების შეზღუდვა, გვი და ლესბოსური თემატიკა სასკოლო პროგრამებში და სხვ.

ამ თემების გარშემო დაგროვილი სტერეოტიპებისა და მათი უხილავობის გამო წლების განმავლობაში დაგროვებული უამრავი კითხვა რელიგიური უმცირესობების, ქართველი მუსლიმებისა თუ ქართველი პროტესტანტების, გეების, ლესბოსელების, ბისექსუალებისა და ტრანსგენდერი ადამიანების საკითხებთან დაკავშირებით, ახლა მედიაში უდავოდ ღიად განიხილება, რაც საზოგადოებაში მათ ხილვადობას თავისთავად ზრდის.

ინტერნეტი, ბევრად მეტად, ვიდრე სხვა რომელიმე სივრცე, უმცირესობათა შესახებ ინფორმაციის მოწოდების ყველაზე მნიშვნელოვან წყაროდ იქცა. მან

ყველაზე მეტად, ვიდრე სხვა რომელიმე სივრცემ, შესაძლებლობა მისცა ამ ადამიანებს, თავიანთი იდენტობის გამხელის ადრეულ ეტაპებზე დაედგინათ თავიანთი რელიგიური, სექსუალური და გენდერული იდენტობა და მოექცნათ მხარდაჭერა და ეს ყველაფერი მაქსიმალურად ანონიმურად, საკუთარ სახლებშივე. ინფორმაციის ზრდამ იმგვარი განუზომელი აღმასვლა განიცადა განვლილ წლებში რომ უმცირესობათა და განსაკუთრებით, ლგბტ ადამიანთა შესახებ ამომწურავი ინფორმაციის ძიების პროცესში, ინტერნეტი შესაძლოა ბევრი ადამიანისთვის უპირველეს საშუალებად იქცეს.

მართალია, უზუსტობები ინტერნეტშიც ხშირად გვხვდება, მაგრამ ლგბტ ადამიანთა შესახებ ამომწურავი ინფორმაციის ძიების პროცესში, ინფორმაციის მოძიებით დაინტერესებულ პირთათვის მისი ერთ-ერთი უმთავრესი ღირსება მის გეოგრაფიულ საზღვრებს მიღმა წვდომის შესაძლებლობაა. შედეგად, დედაქალაქისა და დიდი საქალაქო დასახლებებისაგან მოშორებით მდებარე მცირე სასოფლო დასახლებებში მცხოვრებთაც კი აქვთ თეორიული შესაძლებლობა, მიიღონ იგივე ინფორმაცია და დაუკავშირდნენ ლგბტ ადამიანებს დანარჩენ მსოფლიოში, როგორც ცენტრალურ დასახლებებში მცხოვრებ ადამიანებს. წარსულში ასეთი მონაცემების მიღება და მოგროვება მხოლოდ ურბანულ დასახლებებში მცხოვრებთათვის იყო შესაძლებელი. გასაგებია, რომ კომპიუტერთან თუ სმარტფონთან წვდომაც ყველასთვის ერთნაირი მანძი არაა, მაგრამ უფასო/შეღავათიანი ინტერნეტი, სმარტფონთან მისაწვდომობის ზრდა უფრო და უფრო მეტ ინდივიდს აძლევს ინტერნეტთან დაკავშირების შესაძლებლობას. უმცირესობების შესახებ სათანადო ვებგვერდების მიმოხილვა ამ ნაშრომის მიზნებს სცილდება, რადგან ათობით, შეიძლება ასობით ვებგვერდი არსებობს ამ თემაზე.

აქვე, მნიშვნელოვანია მოკლედ შევეხოთ ლგბტ ადამიანების საკითხების წამოჭრის ისტორიულ ფენომენს, რამაც ეს ყველაზე დისკრიმინირებული ჯგუფი დღის სინათლეზე გამოიყვანა. ის სამ ყველაზე გავლენიან მოვლენას უკავშირდება როგორც დასავლეთში, ისე საქართველოში.

ზოგადად მიიჩნევა, რომ დასავლეთში სამი მოვლენა დაედო საფუძვლად დაედო გეი და ლესბოსურ განმათავისუფლებელ მოძრაობას. თავდაპირველად, პროფესორ ეველინ ჰუკერის (Evelyn Hooker, 1957, 1967) შრომატევადი ღვაწლის შედეგად, ურყევი სამეცნიერო მტკიცებულება გაჩნდა იმასთან დაკავშირებით, რომ ჰომოსექსუალობა არაა გონებრივი დაავადება; 1969 წელს სტოუნვოლის აჯანყებამ ქალაქ ნიუ-იორკში და 1973 წელს გადაწყვეტილებამ **ფსიქიკურ დაავადებათა დიაგნოსტიკური და სტატისტიკური სახელმძღვანელო** მესამე გამოცემიდან (DSM-III) ჰომოსექსუალობის, როგორც ფსიქიკური და რადიკალური ამოღების, გარდამტეხი როლი ითამაშა. ეს სამი მოვლენა ლესბოსელ და გეი ადამიანებზე დასავლური სამყაროს შეხედულებების

კონცეპტუალიზაციის მთავარ ხელშემწყობ ფაქტორად იქცა.

დამატებით, ლგბტ ადამიანების პოზიტიური ხილვადობის საქმეში ასევე გადამწყვეტი შიდასი თემის წინ წამოწევა ითამაშა. საქართველოში, ლგბტ ადამიანთა შესახებ საუბარი 2012 წლის 17 მაისის შემთხვევის შემდეგ დაიწყო, როდესაც ლგბტ ადამიანთა ერთი ნაწილი ჰომოფობიასთან, ტრანსფობიასთან და ბიფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღეს აღნიშნავდა და რომელიც რელიგიური ექსტრემისტების მხრიდან დარბევის და პოლიციის უმოქმედობის გამო ჩაიშალა.

იმისათვის, რომ ურთიერთმიმდებლობა რეალური გახდეს, ადამიანებმა უნდა პირველ რიგში ირწმუნონ რომ ისინი რეალურად, ნამდვილად ცხოვრობენ მრავალფეროვან საზოგადოებაში.

თითქოს მარტივია, მაგრამ ამავე დროს წარმოუდგენლად რთულია ეთნიკურად ქართველი, მართლმადიდებელი ადამიანებისთვის რეალურად წარმოიდგინონ თანაცხოვრება ეთნიკურად არა ქართველ ადამიანებთან, მითუმეტეს რომ უდიდესი უმრავლესობისათვის ცხოვრება მკაცრად გაფილტრულია ეთნიკური ნიშნით. ჩვენი ქვეყნის ორი ყველაზე დიდი ეთნიკური ჯგუფი - სომეხი და აზერბაიჯანელი წარმოშობის ქართველები - საერთოდ ვერ მონაწილეობენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. პოლიტიკაში თეორიულად არ არსებობს შანსი რომ ეთნიკურად სომეხი ან აზერბაიჯანელი ქალი პოლიტიკოსი ვიხილოთ პარლამენტში, თუნდაც საჩვენებლად დანიშნული. როგორც წესი, სიმბოლურად რამდენიმე ადამიანი ხდება ხოლმე პარლამენტის წევრი, რომელთა ეთნიკური კუთვნილების გამოცნობა მხოლოდ გვართათა შესაძლებელი.

სომხური და აზერბაიჯანული წარმოშობის ადამიანები არ და ვერ მონაწილეობენ კულტურულ, სოციალურ, საზოგადოებრივ ცხოვრებაში როგორც თავიანთი ისტორიული წარმოშობის ეთნოსის ელჩები. ჩვენთვის სომხურ და აზერბაიჯანულ კულტურაზე თუ ინტერეთნიკურ ურთიერთობებზე საუბარი წარმოუდგენლად მძიმე, უსიამოვნო, ზედმეტად მიჩნეული და ყველანაირად არასასურველია. ამიტომ, ვერცერთ გადაცემას, ვერც ერთ შოუს, ვერც ერთ საზოგადოებრივ დისკუსიას ვერ ნახავთ, სადაც ამ საკითხებს ღიად განიხილავენ. ადამიანები, რომლებიც ისტორიულად ამ ჯგუფს მიეკუთვნებიან, აქტიურად მალავენ ამ ფაქტს, ან გვარს იცვლიან, ან უბრალოდ მესამე და მეოთხე ხარისხიდან მნიშვნელობას ანიჭებენ ამას, რათა თავიდან აიცილონ ზიზღი, რისხვა და სიძულვილი, რასაც შოვინისტურად განწყობილ ქართულ საზოგადოებაში ვინმეს სომხურ/აზერბაიჯანულ კუთვნილებაზე მითითება იწვევს.

თუნდაც პარადოქსულად მოგვეჩვენოს, ცალსახად უნდა ითქვას რომ

ეთნიკური „ბერლინის კედლის“ დანგრევაზე პასუხისმგებლობა უპირველესად სწორედ ამ და სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებმა უნდა აიღონ. მათ უნდა გაბედონ და როგორმე დაიწყონ ინტერეთნიკური დიალოგი, განსაკუთრებით კი მათ, ვინც შოუ-ბიზნესში, პოლიტიკასა და მედიაში მუშაობს. სწორედ მათი ცნობადობის წყალობით, ისინი შედარებით დაცულნი იქნებიან სიძულვილისგან და ამავე დროს, პირველი მერცხლები გახდებიან, რომლებიც კულტურულ მსგავსებებსა და ამავე დროს განსხვავებებს გაუსვამენ ხაზს, ეთნიკურად ქართველ მოსახლეობას აჩვენებენ სომხურ თუ აზერბაიჯანულ სამზარეულოს, წეს-ჩვეულებებს, ფოლკლორს, საოჯახო თუ სარიტუალო ტრადიციებს. ამ ორი ეთნიკური ჯგუფების შესახებ ნეგატიური სტერეოტიპების დანგრევა სწორედ ამ ადამიანებმა უნდა დაიწყონ და არ არსებობს არცერთი ძალა, შიგნით თუ გარეთ, რომელიც მათ მაგივრად ამის გაკეთებას შეძლებს. სწორედ ქართველი-სომეხი და ქართველი-აზერბაიჯანელი ლიდერების მისიაა ამ სიძულვილის კედლის დანგრევა. ვერცერთი სხვა ქართველი აქტივისტი თუ სომეხი აქტივისტი თუ „კულტურის ელჩი“ რომელიც ერთდროულად სომხური ან აზერბაიჯანული წარმოშობის არაა და ამავე დროს, საქართველოში არ გაზრდილა და არ უცხოვრია - ამ ისტორიულ მისიას ვერ შეასრულებს.

მნიშვნელოვანი პრინციპები, რომლებიც მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლების გაძლიერების პერსპექტივიდან მუშაობაში დაგვეხმარება:

წარმატება შესაძლებელია იქაც კი, სადაც გარემო მტრულია;

წარმატების მისაღწევ სტრატეგიებს ხშირად საერთო მახასიათებლები აქვს;

წარმატებული სტრატეგიები მიზანდასახული ნაბიჯებისგან მომდინარეობს, რომელიც ლიდერობის პოზიციის დაკავებასა და განმტკიცებას უზრუნველყოფს და მისკენ არის მიმართული;

პრობლემები მოდის ლიდერობის პოზიციის დაცვის სირთულეებისაგან ან ლიდერობის დაკავების უუნარობისაგან;

როდესაც სიტუაცია მძიმდება, გამრავალფეროვნება (და მრავალფეროვნების ძიება) შესაძლოა ყველაზე კარგი გამოსავალი არც იყოს კვლავ მოძლიერებისათვის;

იქ, სადაც გარემო მტრულია, სტრუქტურული ევოლუცია ყოველთვის დინამიურ ბალანსს ელტვის როდესაც მცირე და დიდ თემებს შორის თანაარსებობის ბაზისი ირყევა და თავისუფალი თანაარსებობა შეუძლებელი ხდება. ამიტომ, ასეთ დროს უფლებები იკვეცება და განვითარების ნაცვლად, ყურადღება „შეკუმშულ ბაკანში“ კრიზისის გადატანაზეა მიმართული. „კრიზისი“ კი შესაძლოა ათეულობით წელი გაგრძელდეს.

ამიტომ, უმცირესობების გაძლიერებაზე მიმართული საგანმანათლებლო, სოციალური თუ სამედიცინო პრაქტიკის დროს მნიშვნელოვანია გავაცნობიეროთ, რომ ჯგუფური სოლიდარობა და ერთიანობა ავტომატურად მიღწევადი შედეგები არაა, განსაკუთრებით იმ ინდივიდებისათვის, რომლებსაც ზურგზე მრავალი თანადიდენტობის მართვა დამატებით სირთულედ აწევს. მაგალითად, ერთ-ერთმა კვლევამ აჩვენა, რომ შავკანიანი და ლათინო ინდივიდები, რომლებიც ამავე დროს არიან გეი, ლესბოსელი ან ბისექსუალი იდენტობის მატარებლები, ხშირად ეჩეხებიან თავიანთ რასობრივ/ეთნიკური მიკუთვნების თემებში ჰომოფობიის პრობლემას და ამავე დროს, ლესბოსურ და გეი თემში თავს თავიანთი რასობრივი/ეთნიკური კუთვნილებიდან გარიყულად გრძნობენ. მართალია დამოუკიდებლად შესწავლილი არ არის, მაგრამ დასაშვებია ვარაუდი, რომ იგივე ვრცელდება ტრანსგენდერ ინდივიდებზეც. ამის გარდა, ბისექსუალები და ტრანსგენდერი ხალხი ლესბოსურ და გეი თემში მიუღებლობის და ჩაგვრის ხშირი მსხვერპლიც ხდება. მაგალითად, კაციდან-ქალზე ტრანსგენდერ და ტრანსსექსუალ ადამიანებს ხშირად არ უშვებენ ქალებისთვის განკუთვნილ სივრცეებში და ბისექსუალი ხალხი ხშირად ყვება იმ გაცემის შესახებ, რომელსაც მათი თქმით, ლგტ თემის წევრები იჩენენ, წარმოიდგენენ რა მათ დაბნეულებად, გარდამავალ ფაზაში მყოფ ან თვითუარყოფაში მყოფ ადამიანებად.

დამხმარე პროფესიონალისა და მასწავლებლის ერთ-ერთი აუცილებელი ღირსება ადამიანების მიმართ ინტერესია. ბენეფიციარზე/მოსწავლეზე ზრუნვის საიდუმლო მის მიმართ ზრუნვის განცდაა. მიუხედავად იმისა, რომ ცრურწმენები და უსაფუძვლო დაშვებები, რომლებიც ყურადღების გადატანას და სინამდვილის აღქმას უშლის ხელს, მუდმივად მოახდენს გავლენას, პრაქტიკოსისა და ბენეფიციარის, ექიმისა და პაციენტის, მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობაზე, ემპათია მკურნალობის, რეაბილიტაციისა და საგანმანათლებლოს პროცესის ისეთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომ ამ პროფესიონალებს მაინც მოვუწოდებთ ცნობიერად და მიზანმიმართულად გადასცენ ის ყველა მოსწავლეს, ბენეფიციარსა და პაციენტს ემოციურ დონეზე. თბილი ღიმილის, მოსმენისა და კეთილი სიტყვის ძალამ შესაძლოა ყველაფრის შეცვლა შეძლოს.

უმცირესობებთან მუშაობის მეთოდები და სავარჯიშოები

ამ სახელმძღვანელოში ქმედებისკენ მოწოდების გარდა, განვიხილეთ უთანასწორობის მთავარი მიზეზები ლგბტ მოსახლეობისათვის, რელიგიური და ეთნიკური უმცირესობებისა და ქალებისათვის. ახლა კი, აღვწერთ იმ ნაბიჯებს, რომლის გადადგმაც განმანათლებლებს მგრძობელობისა და კომპეტენტურობის გაზრდაში დაეხმარება უმცირესობების წარმომადგენელ ბენეფიციართა თუ მოსწავლეთა მომსახურებისას.

სავარჯიშოების მიზანია ტრენინგის მონაწილეებს დაეხმაროს იმის გაცნობიერებაში, რომ პირადი ცრურწმენებისა და დაშვებების აღიარება და გაანალიზება მნიშვნელოვანია. ეს შესაძლოა სასარგებლო დასაწყისი იყოს უმცირესობათა დახმარებისა და ადვოკატირების სფეროში წარმატებული მუშაობისათვის. შემდეგ, რადგან არსებულ მდგომარეობასთან წინააღმდეგობა ყოველთვის რთულია, განსაკუთრებით კი ისეთი საკითხების შესახებ, რომლებიც დღემდე წინააღმდეგობრივია, შესაბამისად წინსვლისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მხარდაჭერის მოპოვებას ყველა შესაძლო წყაროდან - სტუდენტებისგან, კოლეგებისა და განმანათლებლებისაგან, ჯანმრთელობაზე ზრუნვის იმ დაწესებულებისგან სადაც მუშაობთ და ა. შ., გარე წყაროების ჩათვლით. ამიტომ, რამდენიმე სავარჯიშო მიმართულია იმისკენ, რომ ამ მხრივ მუშაობისთვის და კავშირების დამყარებაში დასახმარებლად უნარები გავაძლიეროთ.

მესამე: რადგან კვლევის ორივე, თვისობრივი და რაოდენობრივი მეთოდები, ან მათი ნაზავი, მნიშვნელოვან ფაქტორებს წარმოადგენს მეცნიერულ საფუძველზე შემუშავებული ცოდნის მისაღწევად, უმცირესობათა კვლევის და მათთან მუშაობის ერთ-ერთი მეთოდია ნატურალისტური დაკვირვება, რომელიც დაკვირვების მკაცრად განსაზღვრულ ფენომენს გულისხმობს. ეს მეთოდი მნიშვნელოვანი და განსაკუთრებით სასარგებლოა იმ შემთხვევებში, სადაც ემპირიული ხასიათის ცოდნის კონცეპტუალიზაცია ჯერ კიდევ შეზღუდული ოდენობით მოიპოვება. ნატურალისტური კვლევა ანთროპოლოგიაზეა დაფუძნებული. მისი ემპირიული ფესვების წყალობით, ის მზარდ ყურადღებას იმსახურებს და მას განიხილავენ, როგორც მოწყვლად ადამიანებთან მუშაობის პრაქტიკის ინფორმირების ეფექტურ საშუალებას. ქვემოთ მოცემული სავარჯიშოები ამ მხრივ უნარების გამახვილებაში დაეხმარება ტრენინგის მონაწილეებს.

საკითხის დასაბუთება

რაოდენობრივი კვლევა მყარად არის დამკვიდრებული ფსიქოლოგიაში, სოციალურ სამუშაოში და განათლების მეცნიერებაში, რომელიც პროფესიონალებს შესაძლებლობას აძლევს, გამოსცადონ სანქცირებული ცოდნა და ახალი მეთოდები, რომლებიც შეიძლება ლგბტ პირთათვის თუ უმცირესობათა სხვადასხვა ჯგუფებისათვის ბევრად სასარგებლო აღმოჩნდეს. ექსპერიმენტული კვლევის ყველაზე გავრცელებულ ნაირსახეობას ჯგუფური დიზაინი და ერთ სისტემაზე აგებული დიზაინი წარმოადგენს (Elze, 2003). ამ კონტექსტში, „მართული ზრუნვის“ (Managed Care), როგორც მომსახურების გაწევის პოპულარული მოდელისა და შესაძლებლობის გამოყენებისას, შედეგების სტანდარტიზებული გაზომვისას ისეთი ხერხები შეგვიძლია გამოვიყენოთ, რომელიც ბენეფიციარებთან კლინიკურ ჩარევათა მართლზომიერებას გვიჩვენებს. ამის წყალობით, ეს მოდელი პრაქტიკაში საკმაოდ წარმატებულია. გთავაზობთ სტანდარტიზებულ ტესტს, რომელიც სექსუალური ორიენტაციის გაზომვისთვის გამოიყენება, თუმცა არსებობს დამატებითი ინსტრუმენტიც რომელიც ჰომოფობიის გაზომვისთვის შეიძლება გამოვიყენოთ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჯგუფის მიხედვით, შესაძლებელია „სექსუალური ორიენტაცია“ ჩანაცვლდეს „რელიგიური კუთვნილებით“ ან „ეთნიკური კუთვნილებით“, „გენდერთ“ , „სქესით“ და ა. შ.

კითხვარი

ცხოვრებით კმაყოფილების შკალა*	სრულიად ვეთანხმები	ვეთანხმები	არც ვეთანხმები და არც წინააღმდეგი ვარ	არ ვეთანხმები	სრულიად არ ვეთანხმები
1. ჩემი ცხოვრება იდეალურთან ახლოს არის	<input type="radio"/>	<input type="radio"/>	<input type="radio"/>	<input type="radio"/>	<input type="radio"/>
2. შესანიშნავი ცხოვრების პირობები მაქვს	<input type="radio"/>	<input type="radio"/>	<input type="radio"/>	<input type="radio"/>	<input type="radio"/>
3. ცხოვრებით კმაყოფილი ვარ	<input type="radio"/>	<input type="radio"/>	<input type="radio"/>	<input type="radio"/>	<input type="radio"/>
4. ცხოვრებაში რაც მნიშვნელოვანია ყველაფერი მაქვს	<input type="radio"/>	<input type="radio"/>	<input type="radio"/>	<input type="radio"/>	<input type="radio"/>
5. თავიდან რომ დამეწყოს, თითქმის არაფერს შევცვლიდი ცხოვრებაში	<input type="radio"/>	<input type="radio"/>	<input type="radio"/>	<input type="radio"/>	<input type="radio"/>
6. ჩემივე სექსუალური ორიენტაციის ადამიანებთან ურთიერთობას ვერიდები	<input type="radio"/>	<input type="radio"/>	<input type="radio"/>	<input type="radio"/>	<input type="radio"/>
7. დავთანხმდებოდი ამჟამინდელი სექსუალური ორიენტაციის შეცვლის შესაძლებლობა რომ შემოეთავაზებინათ	<input type="radio"/>	<input type="radio"/>	<input type="radio"/>	<input type="radio"/>	<input type="radio"/>

8. ჩემი გენდერული იდენტობის გამო საკუთარ თავთან გაუცხოებული ვარ.	<input type="radio"/>	<input type="radio"/>	<input type="radio"/>	<input type="radio"/>	<input type="radio"/>
9. ჩემს გენდერულს იდენტობას ჩემს პირად ნაკლად მივიჩნევ.	<input type="radio"/>	<input type="radio"/>	<input type="radio"/>	<input type="radio"/>	<input type="radio"/>
10. გენდერული იდენტობის შეცვლისათვის პროფესიონალური დახმარებას მივიღებდი	<input type="radio"/>	<input type="radio"/>	<input type="radio"/>	<input type="radio"/>	<input type="radio"/>
11. ჩემი გენდერული იდენტობის გამო მრცხვენია ხოლმე	<input type="radio"/>	<input type="radio"/>	<input type="radio"/>	<input type="radio"/>	<input type="radio"/>
12. ვამაყობ ჩემი გენდერული იდენტობით	<input type="radio"/>	<input type="radio"/>	<input type="radio"/>	<input type="radio"/>	<input type="radio"/>
13. ვცდილობ ჩემი გენდერული იდენტობა სხვებისთვის შესამჩნევი არ იყოს	<input type="radio"/>	<input type="radio"/>	<input type="radio"/>	<input type="radio"/>	<input type="radio"/>
14. რომც შემეძლოს, გენდერულ იდენტობას არ შევიცვლიდი	<input type="radio"/>	<input type="radio"/>	<input type="radio"/>	<input type="radio"/>	<input type="radio"/>

***სტანდარტიზებული ტესტი, ავტორი ანა ლეტიცია პეპლო. იბეჭდება ავტორის თანხმობით.**

სავარჯიშო № 2: თვითშეფასება

სავარჯიშოს ჩატარების მეთოდი

განმანათლებლებსა და პრაქტიკოსებს ასევე შეუძლიათ მიმართონ თვითშეფასების სავარჯიშოს, რომლებიც მათ პიროვნული ცრურწმენების და დამოკიდებულებების გამოკვეთაში დაეხმარება. მცირე ჯგუფებში ან ინდივიდუალური მუშაობის დროს, დაუსვით საკუთარ თავს/ჯგუფის სხვა წევრებს ეს კითხვები:

სადისკუსიო კითხვები:

1. თვლით, რომ მაგალითად, იეჰოვას მოწმეები/მუსლიმები/ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი ან ტრანსგენდერი ადამიანები არ უნდა იყვნენ ზოგიერთ სამუშაოზე დასაქმებული ან არ უნდა შეეძლოთ ზოგიერთი საზოგადოებრივი თანამდებობის დაკავება? თუ ასეა, რატომ?
2. შეგიწყვეტიათ თუ არა ოდესმე რაიმეს კეთება ან თქმა, იმიტომ, რომ ჩათვალეთ რომ ვინმეს გეი ან ლესბოსელი, პროტესტანტი/იეჰოვას მოწმე და ა. შ. ეგონეთ? ან შეიძლება ძალიან კაცური ან ძალიან ქალური (გენდერული როლისთვის) შეუსაბამოდ მოჩვენებოდათ?
3. როგორ ფიქრობთ, როგორ გრძნობდით თავს თუ თქვენი ოჯახის რომელიმე წევრი მოვიდოდა თქვენთან და გამოგიტყდებოდათ რომ ლესბოსელია ან გეი ან ბისექსუალი და ან ტრანსგენდერია ან სხვა რელიგიური მრწამსი მიიღო?

სავარჯიშო № 3: ღირებულებები და დამოკიდებულებები

სავარჯიშოს ჩატარების მეთოდი

ღირებულებებისა და დამოკიდებულებების გამოსაკვლევადა, გამოიყენეთ შემდეგი კითხვები. ამ კითხვების დასმა შესაძლებელია მცირე ჯგუფებში, ფასილიტირებული დისკუსიის დროს. ეს პროცესი მონაწილეებს ეხმარება გულწრფელად, განსჯის შიშის გარეშე გაუზიარონ დისკუსიის მონაწილეებს ემოციები, რომლებსაც ისინი შესაძლოა განიცდიდნენ, როდესაც მრავალფეროვნების წინაშე აღმოჩნდებიან:

სადისკუსიო კითხვები:

1. პირველად რა რეაქციები გაქვთ, როდესაც ვინმე საკუთარი რწმენის/ორიენტაციის შესახებ გაგიმხელთ?
2. ასეთ დროს, რამდენად მკვეთრად ეთანხმებით ან ეწინააღმდეგებით მათ და რატომ?
3. კომფორტულად გრძნობთ თავს როდესაც ბენეფიციარებს/სტუდენტებს/

პაციენტებს სექსუალურ ქცევებზე ვესაუბრებით?

4. გეი ან ლესბოსელად ყოფნა ცხოვრების წესის არჩევნის საკითხია? რელიგია? ეთნიკური კუთვნილება? შეგვიძლია ავირჩიოთ ეთნოსი?
5. უხერხულად გრძნობთ თავს როდესაც ქუჩაში ორ ხელჩაკიდებულ მამაკაცს ხედავთ ან ქალს, რომელიც ჩადრით არის შემოსილი? თუ კი, რატომ?
6. გაღიზიანდებოდათ თუ ვინმეს გეი ან ლესბოსელი ეგონებოდათ ან მუსლიმი ან მაგალითად, იეჰოვას მოწმე? თუ კი, რატომ? თუ არა, რატომ?
7. ჩემს შვილს რომ თავი ტრანსგენდერად გამოეცხადებინა, ვიფიქრებდი, რომ მე, როგორც მშობელმა, რამე დავაშავე. (იმსჯელეთ ამ განაცხადზე. რამდენად ეთანხმებით/არ ეთანხმებით მას?)

სავარჯიშო № 4: როლური თამაშები

სავარჯიშოს ჩატარების მეთოდი

როლური თამაშებისთვის, შეგიძლიათ გამოიყენოთ შემდეგი სცენარები. როლური თამაშები შეიძლება ჩატარდეს როგორც მცირე (ორი ადამიანი), ისე საშუალო ზომის ჯგუფებში (4-6 მონაწილე):

1. წარმოიდგინეთ რომ აწარმოებთ ისტორიის სისტემატურ ჩაწერას სტუდენტთან/ბენეფიციართან მუშაობისას. მამრობითი სქესის მქონე პაციენტი გეუბნებათ, რომ მას აქტიურად აქვს სექსუალური კავშირი მამაკაცთან და იდენტიფიცირდება, როგორც გეი. შემდეგ ის გეკითხებათ რას გრძნობთ ამის შესახებ. რას უპასუხებდით?
2. სამასწავლებლოში შემთხვევით გაიგონეთ თუ როგორ დასცინიან მასწავლებლები ერთ-ერთი მოსწავლის გარეგნობასა და ქცევას, რომელიც სკოლაში ახალი გადმოსულია. მასწავლებლები ეჭვობენ, რომ მოსწავლე იეჰოვას მოწმეა და ხუმრობენ, რომ ალბათ ეს „მოსწავლე ღამ-ღამობით დაფრინავს“. თქვენ ამ სკოლაში სოციალურ მუშაკად ხართ მივლინებული. როგორ მოიქცევით/ რას უპასუხებდით?
3. პაციენტი ჩივის საკუთარი მოზარდი ქალიშვილის მიერ მისი ბისექსუალობის გამჟღავნებით გამოწვეული შფოთვის შესახებ. ის ნერვიულობს, რომ მისი შვილი სექსუალურ თავგადასავლებს ეწევა და აივ ინფექციით დაინფიცირდება. მას სმენია, რომ ბისექსუალობა მოდაა თანამედროვე ახალგაზრდებში და იმედი აქვს, რომ ეს “მხოლოდ ფაზაა”. რას უპასუხებდით?
4. თქვენ ხართ ექიმი. ახალი ბენეფიციარი, სახელად ნინო, გასასინჯ ოთახში სისტემატურ შემოწმებასა და პაპილომა ვირუსის დასადგენ ტესტს ელოდება. მოგვიანებით, სექსუალური ისტორიის აღწერისას, ის ამბობს, რომ მას სხვა ქალთან სექსი ჰქონია, თუმცა ნამდვილად არ არის ლესბოსელი. თქვენ მას

ამხრევთ დაბნეულობას და შიშს. რას უპასუხებდით?

- წარმოიდგინეთ რომ თქვენ ხართ ფსიქოლოგი ერთ-ერთ ორგანიზაციაში, სადაც კაცი ბენეფიციარი გეუბნებათ, რომ მას და მის პარტნიორ კაცს ოჯახის შექმნა სურთ და გთხოვთ რჩევები მისცეთ განაყოფიერების ალტერნატიული ტექნიკების შესახებ. რას უპასუხებდით? რამდენად ითამაშებს გავლენას თქვენს სავარაუდო პასუხზე თქვენი დამოკიდებულება ლგბტ ოჯახების მიმართ?

სავარჯიშო № 5: გამკლავება სტერეოტიპებთან

საკითხის დასაბუთება

საზოგადოებაში მუდმივად არსებობს მოლოდინი, რომ ჩვენ არა მარტო ვცდილობდეთ საკუთარი ცოდნის ამაღლებას, არამედ როცა უკეთეს ცოდნას ვფლობთ, მას სხვებსაც ვუზიარებდეთ საზოგადოებაში არსებული ინფორმაციული ხარვეზების შესავსებად. პროფესიული წრეების წარმომადგენლებს ეს დამოკიდებულება განსაკუთრებით აქვთ გამძაფრებული. ექიმების, ფსიქოლოგების, სოციალური მუშაკების, მასწავლებლების დიდ ნაწილს მიაჩნია რომ ისინი არიან უმაღლესი ავტორიტეტები თავიანთ სფეროებში. ეს დამოკიდებულება წარმოუდგენლად მძიმე და დამაზიანებელია უმცირესობათა საკითხებთან მიმართებაში, რადგან ხშირად მიიჩნევა, რომ ეს თემა ყურადღებას არ იმსახურებს ან თუ იმსახურებს, მხოლოდ ნეგატიურ კონტექსტში უნდა მოხდეს მათი მოხსენიება. მეტიც, შესაძლოა საკითხის არადისკრიმინაციული მანერით წამოჭრისთვის მასწავლებელი ან სხვა პროფესიონალი გააკრიტიკონ კიდევ. მაგალითად, წარმოიდგინეთ პატარა “სასწავლო მომენტი”, რომელიც ჩნდება როდესაც თანაკურსელი ან კოლეგა ჰომოფობიურად იხუმრებს. კლინიკოსები, სოციალური მუშაკები ან მასწავლებლები, რომლებიც გადაწყვეტენ, რომ მას პასუხი გასცენ და აუხსნან, რატომ არის ხუმრობა მიუღებელი, საპასუხოდ მრავალფეროვან რეაქციას უნდა ელოდნენ:

- გაკვირვება: “არ ვიცოდი რომ ასეთი მგრძობიარე იყავი გვი საკითხების მიმართ!”
- დაცინვა: “ძალიან სერიოზულად უდგები - ეს მხოლოდ ხუმრობა იყო! რა გჭირს?”
- შეუფარავი შეურაცხყოფა: „რა დაგემართა ისეთი, რომ ეს საკითხი ასე გადარდებს? გვი ხარ თუ რა?”

სავარჯიშო ჩატარების მეთოდი

ეს მწარე გამოცდილება ძალიან ჰგავს იმას, თუ რა გრძობენ ლგბტ ადამიანები თუ სხვა ფარული უმცირესობები საკუთარი იდენტობის/რწმენის საკუთარი სურვილით თუ სურვილის წინააღმდეგ, უნებლიედ გამჟღავნების დროს არამეგობრულ გარემოში. მნიშვნელოვანია, რომ პრაქტიკოსები/კლინიკოსები/მასწავლებლები თავს მყარად გრძობდნენ ასეთ გამოწვევასთან გასამკლავებლად. ეს როლური თამაში მონაწილეებს დაეხმარება ამგვარი სიტუაციის იმგვარად გათამაშებაში, რომელიც დაახლოებით აღადგენს ყველა იმ ფაქტორს, რომელიც ასეთ დროს მოქმედებს ხოლმე. მონაწილეები (4-6 ადამიანი) დასვით წრეში და გაუნაწილეთ როლები: ჰომოფობი, ექიმი, მასწავლებელი, მოსწავლე, ნეიტრალური გამგლეელი, დამკვირვებელი, რელიგიური უმცირესობის წევრი, ლგბტ თემის წევრი და ა. შ. თითოეულ მათგანს სთხოვეთ მაქსიმალურად სტერეოტიპულად იფიქრონ და გამართონ საუბარი, სადაც მოიქცევიან ისე, როგორც მაგალითად, რელიგიური ექსტრემისტი ან ჰომოფობი მასწავლებელი მოიქცეოდა.

სადისკუსიო კითხვები (ყველა მონაწილე. 30 წუთი):

30 წუთიანი შეუფერხებელი კომუნიკაციის შემდეგ, მონაწილეებს ვთხოვთ დაუბრუნდნენ ტრენინგს და გულწრფელად გაგვიზიარონ რას გრძობდნენ იმ დროს, როდესაც მათ სტერეოტიპების მიხედვით ექცეოდნენ?

რას გააკეთებენ მომავალში განსხვავებულად, თუ მსგავს სიტუაციას გადააწყდებიან?

სავარჯიშო №6: სოციალური ცვლილებების ადვოკატირება და წინააღმდეგობები

საკითხის დასაბუთება

ლგბტ პრაქტიკოსებისათვის, რელიგიური თუ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი პროფესიონალებისათვის, რომლებიც ყველაზე დიდი ალბათობით იქნებიან ის ადამიანები, ვინც ამ შესაბამისი ჯგუფების განათლებასა და მათ განვითარებაზე იბრუნებენ, შესაძლოა სასურველი იყოს თავადაც განაცხადონ საკუთარი იდენტობის/ორიენტაციის/რწმენის და ა. შ. თაობაზე სხვათა განათლების პროცესში. ისევე როგორც სხვა სფეროებში, მაგ. ლგბტ ჯანმრთელობის სფეროს პროფესიონალის მიერ საკუთარი ლგბტ იდენტობის გამჟღავნებას მრავალი გამოწვევა და ჯილდო ახლავს თან.

რადგან ლგბტ ცრურწმენები ფართოდ გავრცელებულია. ამიტომ,

პროფესიონალები და განმანათლებლები, რომლებიც გადაწყვეტენ საგანმანათლებლო მიზნით ღიად ისაუბრონ თავიანთი გამოცდილების შესახებ, მზად უნდა იყვნენ გარკვეული წინააღმდეგობებისათვის. უარეს შემთხვევაში ამან შესაძლოა მათი წინსვლის შესაძლებლობები შეამციროს. ასევე არსებობს საფრთხე, რომ როდესაც ცნობილი ხდება, რომ ადამიანი მაგალითად, პროტესტანტულ ეკლესიას მიეკუთვნება ან ლგბტ თემის წევრია, მის სხვა მახასიათებლებს სწრაფად ივიწყებენ და მას უკვე უყურებენ, როგორც მხოლოდ ლგბტ ჯგუფის წარმომადგენელს ან მხოლოდ როგორც “იელოველს“.

მეორე მხრივ, იდენტობის გაცხადება გარემოსთან პიროვნულ შეგუებას უწყობს ხელს და შესაძლოა კოლეგებთან, სტუდენტებთან, და ზოგ შემთხვევაში პაციენტებთან ურთიერთობებზე დადებითი გავლენა მოახდინოს. ლგბტ იდენტობის გაცხადება ჯანმრთელობის, განათლების და სოციალური მომსახურების სფეროს თანამშრომლისათვის ყოველთვის რთული გადაწყვეტილებაა, რომლის მიღებისასაც სასურველია მოსალოდნელი შედეგებისა და არსებული მხარდაჭერის გათვალისწინება. თუმცა, ჩვენ გვჯერა, რომ შედეგები უმეტესად დადებითია.

იმ ლგბტ და არა-ლგბტ პრაქტიკოსებისათვის, რომლებსაც სურთ მხარდაჭერა გენდერული და სექსუალური იდენტობების შესახებ არსებულ შეხედულებებთან წინააღმდეგობისას, რჩევის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სასურველია იმ პროფესიონალურ ორგანიზაციებში გაწევრიანება, რომლებიც ლგბტ მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშესაწყობად მუშაობს. ამ მიზანს მრავალი პროფესიული ორგანიზაცია ემსახურება, თუნდაც ეს მათ წესდებაში ცალსახად არ იყოს გაცხადებული. გარდა ამისა, მრავალ მეინსტრიმულ ორგანიზაციას აქვს სპეციალური ინტერეს-ჯგუფები, რომლებიც ამავე საკითხზე მუშაობენ ან მზად არიან დაიწყონ მუშაობა. ამ ჯგუფებში ჩართვა და მათი მგრძობელობის ამაღლება კეთილშობილური საქმეა, რომელიც სამომავლოდ უმცირესობათა საკითხებზე ინტენსიური მუშაობისთვის მოამზადებს ამ ორგანიზაციებს.

სავარჯიშოს ჩატარების მეთოდი

მცირე ჯგუფებში მონაწილეებს 15 წუთის განმავლობაში ვთხოვთ ითამაშონ როლური თამაში, სადაც ერთი მონაწილე მორგებს უმცირესობათა საკითხებით დაინტერესებული პროფესიონალის როლს, ხოლო მეორე მონაწილე სკეპტიკურად განწყობილ მეინსტრიმულ სპეციალისტს, რომელიც თავად ფარულად მიეკუთვნება ამ უმცირესობას, მაგრამ საჯაროდ ამას ვერ ამხელს და იძულებულია აგრესიულად უკუაგდოს ამ საკითხზე მისი ორგანიზაციის მუშაობის ყოველგვარი მცდელობა. მომდევნო 15 წუთის განმავლობაში მონაწილეები ცვლიან როლებს. 30 წუთიანი როლური თამაშის შემდეგ, მომდევნო 30 წუთის განმავლობაში მონაწილეები უბრუნდებიან პლენარულ

დისკუსიას, სადაც თითოეული ადამიანი მოყვება თუ რა სტრატეგიას მიაგნო იმისთვის, რომ მოკამათე კოლეგა დაერწმუნებინა უმცირესობათა საკითხზე მუშაობის მნიშვნელობაში ისე, რომ მისთვის პიროვნულად მტკივნეულ საკითხს ამაში ხელი არ შეეშალა.

სადისკუსიო კითხვები (ყველა მონაწილე. 30 წუთი):

რა სტრატეგიები და ტექნიკები გამოიყენეს მონაწილეებმა მცირე ჯგუფებში როლური თამაშის დროს?

რა არის მათი აზრით წარმატების ფორმულა ასეთ მდგომარეობაში?

რამდენად ჰქონიათ რეალურ ცხოვრებაში მსგავსი გამოცდილება?

ფიქრობენ თუ არა მოსწავლეები, რომ ასეთი სტრატეგიული მიდგომა რეალურ, სამომავლო მუშაობაში გამოადგებათ? თუ არა რატომ?

თავად რა გზა მიაჩნიათ მეინსტრიმულ საზოგადოებაში უმცირესობათა საკითხების ფრთხილად შესატანად ყველაზე ეფექტურად?

სავარჯიშო № 7: განათლების სფეროში უმცირესობათა შესახებ მუშაობის დაწყება

საკითხის დასაბუთება

ის განმანათლებლები და აქტივისტები, რომლებსაც სასკოლო კურიკულუმის რეფორმაში ჩართვა სურთ, მათ შორის, სამოქალაქო განათლების სფეროში ლგბტ ადამიანთა და უმცირესობათა სხვა წარმომადგენლების შესახებ ცნობიერების ამაღლების თაობაზე დამატებით სიძნელეებს წააწყდებიან. ეს რჩევები მათთვის არის, ვისი პოლიტიკური თუ ადმინისტრაციული ხელმძღვანელი სულ მცირე, ყოყმანით ხვდება ამგვარ ინიციატივებს.

სავარჯიშოს ჩატარების მეთოდი

საშუალო ზომის ჯგუფებში, მონაწილეებს დაურიგეთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი სცენარი (ისე რომ, თითო სცენარი განაწილდეს თითო ჯგუფზე). მონაწილეები ეცნობიან პარაგრაფს და 15 წუთის განმავლობაში მსჯელობენ რამდენად შეესაბამება სიმართლეს ქვემოთ მოტანილი განაცხადებით. ამის შემდეგ, ყველა მონაწილე იკრიბება, კითხულობს მისი ჯგუფის დავალებას და ფასილიტატორი მთლიან ჯგუფში იწყებს 45 წუთიან დისკუსიას ქვემოთ მოცემული თანმიმდევრობით.

სადისკუსიო საკითხები:

განათლების სფეროში პროფესიული მანდატები, რომელიც სხვათა შორის, მოსწავლეთა რეალური საჭიროებების დაკმაყოფილებას და ძალადობისგან მათ დაცვას მოითხოვს, საკმარისი არაა. როდესაც უფრო მაღალ განვითარებულ საზოგადოებებში შესაძლოა სასარგებლო და საკმარისი იყოს ყველა ადამიანის თანასწორობასა და ღირსებაზე მოწოდება ან კულტურული კომპეტენტურობის შესახებ მოთხოვნების ხსენება, საქართველოში ეს არაფერს ნიშნავს, რადგან აქ ზოგიერთი სოციალური ჯგუფი უფრო თანასწორია, ვიდრე სხვები.

ამიტომ, განათლების სისტემის მესვეურებისთვის საჭიროა იმის მოთხოვნა, რომ ზუსტად ახსნან, ზუსტად რა ინფორმაცია უნდა შევიდეს კურიკულუმში და რატომ, როგორ შევა ეს ინფორმაცია და ვინ ასწავლის, როგორ შეფასდება სწავლების შედეგები იქ, სადაც საუბარია სკოლაში ბუღინგსა და სხვა საკითხებზე, მათ შორის მიმდებლობის სწავლებაზე, რომელიც სასიცოცხლო გავლენას ახდენს უმცირესობების წარმომადგენელ ახალგაზრდებზე, მათ სასწავლო შედეგებსა და სხვა ცხოვრებისეულ შედეგებზე.

გამოსადეგია სხვაგან უკვე წარმატებით განხორციელებული პროგრამების შესახებ ინფორმაციის მოძიება და მისი წარდგენა - ადვოკატირება, რაც შესაძლოა უფრო დამაჯერებელი აღმოჩნდეს და ბორბლის თავიდან გამოგონების გარეშე შეუწყოს ხელი ცვლილების პროცესს.

საგანმანათლებლო ლიდერებმა შესაძლოა ასევე დადებითად მიიღონ ისეთი შემოთავაზებები, რომლებსაც თან ახლავს ფინანსური მხარდაჭერა კურიკულუმის დიზაინის, განხორციელების შეფასებისა და დახვეწის ძვირადღირებული პროცესებისათვის. ეს განსაკუთრებით ეხებათ კერძო სასწავლო დაწესებულებებს, რომლებიც ცვლილების დაყოვნებას არა ჰომოფობიური თუ ეთნო-ცენტრისტული მოსაზრებებით, არამედ ფინანსების არარსებობით გაამართლებენ. შესაბამისად, დაფინანსების პოტენციური წყაროების აღმოსაჩენად, როგორც კერძო დონორები, საერთაშორისო და ადგილობრივი საგანმანათლებლო ფონდები, საფუძვლიანი მცდელობები უნდა განხორციელდეს.

თუ ყველაფერი ამჯერად მაინც წარუმატებლად დასრულდება, მნიშვნელოვანია იმგვარი სტრატეგიების გამოყენება, რომელიც ადგილობრივი დონეებიდან ზემოთ, მმართველ საფეხურებამდე მიიტანს სათქმელს. ეს ნიშნავს კურიკულუმის მომხმარებლების მხარდაჭერის მოპოვებას - ამ შემთხვევაში ტრენინგის მონაწილე პრაქტიკოსების, მასწავლებლებისა და სხვა პროფესიონალების.

და ბოლოს, რადგან გარეგანი მხარდაჭერა ყოველთვის ღირებულია და მასწავლებლებისათვის კავშირების დამყარება მნიშვნელოვნად ითვლება, როლური თამაშების დროს ყურადღება უნდა მიექცეს ამგვარი სიტუაციების მოდელირებას.

იმედია, მრავალი მასწავლებელი და თანასწორთა განმანათლებელი გადაწყვეტს ინსტიტუციონალურ დონეზე გააქტიურებას და ლგბტ მოსწავლეთათვის მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო მომსახურების შეთავაზებისთვის საჭირო გარემოს შექმნას. მრავალფეროვნების მიმართ პატივისცემით განწყობილი და მრავალფეროვნების დამცველი სამუშაო გარემოს შენარჩუნება რთულია ამ კულტურის პრინციპების დამაზუსტებელი და მხარდამჭერი პოლიტიკის ქონის გარეშე. შესაბამისად, მენეჯმენტში ჩართულ განათლების სპეციალისტებს ვურჩევთ აქტიურად იზრუნონ ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკის შემუშავებასა და დანერგვაზე თანამშრომლებისა და მოსწავლეებისათვის. განმანათლებლებს, ვისაც პირდაპირ არ აკისრიათ მენეჯერული ფუნქციები, შეუძლიათ ასეთი პოლიტიკის დანერგვის ადვოკატირება მოახდინონ ინსტიტუციონალურ ლიდერებთან.

სავარჯიშო № 8: ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკის მიწოდების ფორმები განათლების სფეროში

დასაბუთება

ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკის მიწოდების ფორმები განათლების სფეროში მის გამოყენებაზე დიდ გავლენას ახდენს. ეს პოლიტიკა საგანმანათლებლო დაწესებულებების მომხმარებლებისთვის (მასწავლებლები, მშობლები, მოსწავლეები, ადმინისტრაცია) შესაბამის ენაზე უნდა იყოს დაწერილი, გაიკრას სტრატეგიულად მნიშვნელოვან ადგილებში, შეტანილი იყოს დაწესებულების საინფორმაციო თუ სარეკლამო მასალებში.

სავარჯიშოს ჩატარების მეთოდი

რადგან თანამშრომლებისაკენ მიმართული პოლიტიკა უნდა განიხილებოდეს ინტერვიუს პროცესში, წარმოდგენილი იყოს თანამშრომელთა სახელმძღვანელოებში და საორიენტაციო პროგრამებისას, მონაწილეები იყოფიან მცირე ჯგუფებად. ერთი მონაწილე რომელიც ადამიანური რესურსების განყოფილების თანამშრომლის როლს ირგებს, სამუშაოს მაძიებელ განათლების სპეციალისტს აცნობს ორგანიზაციის პოლიტიკას, რომელსაც ყველა თანამშრომელი უნდა იცნობდეს. უმნიშვნელოვანესია ყველა თანამშრომლისათვის ნათლად შეტყობინება, რომ სერვისის მიწოდებისას გენდერულ იდენტობასა და სექსუალურ ორიენტაციაზე დამყარებული დისკრიმინაცია კარგი ზრუნვის სტანდარტებს არღვევს და დისკრიმინირებული ჩარევის საფუძველი გახდება. მონაწილეს ეძლევა 10 წუთი, რათა მოამზადოს მსგავსი ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკის საბაზისო ტექსტი და გააცნოს ის სამუშაოს მაძიებელს. 10 წუთის შემდეგ მონაწილეები როლებს ცვლიან. სავარჯიშოს დასრულების შემდეგ მონაწილეები პლენარულ სხდომაზე

იკრიბებიან და ხმამაღლა კითხულობენ თავიანთ შემუშავებულ წესებს და კენჭს უყრიან ყველაზე მისაღებ, ინკლუზიურ ვარიანტს.

სავარჯიშო № 9: ადვოკატირება რეგიონულ და ეროვნულ დონეზე

დასაბუთება

ბოგიერთ დამხმარე პროფესიონალს (ექიმს, სოცმუშაკს, ფსიქოლოგს და ა. შ.) ან განმანათლებელს შესაძლოა ასევე სურდეს რეგიონულ და ეროვნულ დონეზე გააქტიურება და უმცირესობათა შესახებ ინფორმაციის იმგვარად გავრცელება, რომელიც დისკრიმინაციას შეამცირებს. ამისთვის, მათ შეუძლიათ გადადგან ისეთი პატარა ნაბიჯები, როგორცაა სამუშაო ჯგუფების შექმნა, ან ინტერეს-ჯგუფებში გაწევრიანება (სოციალური მედიის ან უშუალო შეხვედრების გზით). ეს შესაძლოა ბევრს ნიშნავდეს ლგბტ ახალგაზრდებისა თუ რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის, რომლებიც იმ რეგიონში ფიზიკურ მხარდაჭერასა და თანადგომას ვერ გრძნობენ.

სავარჯიშოს ჩატარების მეთოდი

მონაწილეები იყოფიან საშუალო ზომის ჯგუფებში. მათი ამოცანაა ერთი ან რამდენიმე სოციალური უმცირესობის მხარდამჭერი ჯგუფის ჩამოყალიბება. ამისთვის მათ ეძლევათ 30 წუთი. სამუშაოს დასრულების შემდეგ, ისინი დიდი ზომის ფურცელზე წარმომადგენენ საკუთარ სტრატეგიას. ფასილიტატორის დახმარებით, ყველა მონაწილე მსჯელობს გეგმის ძლიერ მხარეებზე და ჯგუფს აძლევს რეკომენდაციას.

სავარჯიშო №10: მრავალფეროვნების მხარდამჭერი სამუშაო გარემოს შექმნა

დასაბუთება

მშვიდობიანი თანაცხოვრების უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია შევექმნათ ისეთი პოლიტიკა, რომელიც კრძალავს დისკრიმინაციას ნებისმიერი უმცირესობის წევრის მომსახურებისას და ურთიერთობისას. ეს ეხება სექსუალურად და გენდერულად მრავალფეროვან ჯგუფებსაც, რომლებიც ყველაზე დიდ სიძულვილსა და შიშს იწვევენ საქართველოში. ამის მიზეზი, სიძულვილით აღსავსე მედია პოლიტიკაა, რომელსაც გავლენიანი პოლიტიკური და რელიგიური ჯგუფები აწარმოებს. ამიტომ, აუცილებელია ეს პოლიტიკა ნაკლებად მიმზიდველად ჩაითვალოს და მასზე უარი ითქვას.

სავარჯიშოს ჩატარების მეთოდი

საშუალო ზომის ჯგუფებად დაყავით ტრენინგის მონაწილეები. თითოეულ ჯგუფს მიეცით სხვადასხვა დავალება, რომელსაც 30 წუთიანი მუშაობის შემდეგ ისინი საერთო ჯგუფს გააცნობენ:

სადისკუსიო საკითხები:

შექმენით პოლიტიკა, რომელიც კრძალავს ლგბტ თანამშრომლების შეურაცხყოფასა და დისკრიმინაციას;

უზრუნველყავით ლგბტ თანამშრომლებისა და მათი ოჯახებისათვის ყველა ის სარგებელი და კომპენსაცია, რასაც დანარჩენი თანამშრომლები იღებენ. იმის მიუხედავად, მარტოები არიან ისინი, დაქორწინებულები, იმყოფებიან სამოქალაქო კავშირში, თუ ნებისმიერი სხვა ფორმის ურთიერთობაში.

შექმენით პროცედურები, რომელთა საშუალებითაც პაციენტებს/ მოსწავლეებს/ბენეფიციარებს შეეძლებათ შემოიტანონ საჩივარი ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკის დარღვევისა. როგორ უნდა მოაგვარონ პრობლემა? შექმენით ეფექტური მექანიზმები.

ეცადეთ ლგბტ მოსწავლეებთან/ბენეფიციარებთან/პაციენტებთან მიწვდომას ლგბტ თავშეყრის ადგილების, ვებ-გვერდებისა და მედიის საშუალებით.

ეცადეთ რელიგიური უმცირესობის წარმომადგენელ მოსწავლეებთან/ ბენეფიციარებთან/პაციენტებთან მიწვდომას მათი თავშეყრის ადგილების, ვებ-გვერდებისა და მედიის საშუალებით.

SELF-DEFENSE STRATEGIES IN HOSTILE ENVIRONMENTS

Homophobia is a grave social issue in Georgia. So is misogyny, femicide and forced marriages, hatred for ethnic and religious minorities, especially in the regions and villages of Georgia, and in particular, among ethnic minority groups (minority groups hating other minority groups).

Bullying is apparently another insurmountable challenge, faced by the Georgian education system, that the State has been ignoring thus far. This leaves small groups and NGOs to tackle it the best they can, and not within the school settings, but on their own and with their own resources.

The idea for this manual was to create a window of opportunity for peer educators, volunteers and teachers. The manual targets LGBTs and young women, ethnic and religious minorities.

The text was drafted through research, discussions and exercises conducted with the minority youth from Georgia. Now, formal educators and instructors have the opportunity to use and apply this manual in their minority empowerment work.

It is not well known, how intersectional the discrimination in Georgia is. Some understanding may exist within narrow set of groups that work either on women's or minority issues, but no unified learning has had emerged until now to test and apply intersectional approach on the educational setting on the ground and within the very groups these discriminatory attitudes target.

Hence, by researching how marginalization and lack of support alienate various social groups in the same manner, we hope to have supported a case for an argument, and an awareness that these groups are not so different from each other.

This manual hopes to demonstrate that various minority youth in Georgia can stand together in their struggles for liberation, how they could work together to achieve greater acceptance, and equality for all.

While most policy makers may continue denying that bullying is a grave social problem, many teachers continue ignoring human rights based discourse and instead, preach aggressive nationalism mixed with religious fundamentalism, that effectively exclude everyone except ethnic Georgian Orthodox-believer heterosexuals.

Perhaps, now that there is a toolset for them to pick up, that is based on

local research and international knowledge for minority empowerment, Georgian local educators will find it applicable and invigorating for the empowerment and educational work. More importantly, we hope the text will sensitize the educators first and foremost, by making the readers aware of their own social arrangements.

This text, based on a locally derived, locally developed experience for mutual acceptance and celebration of diversity, is hoped be picked up, read and even applied in the informational and educational work.

The textbook serves as a solid evidence of the struggle and discrimination that the youth from underprivileged regions and groups face every day.

The manual contains case studies, real life scenarios and solutions available, on how to deal with these challenges that plague the Georgian society. It is specifically targeted to empower LGBT youth and young girls who live in hostile environment in Georgia and to empower minority groups, who are the victims of hate in Georgia as it allows to teach techniques for community empowerment and mobilization tactics.

